

БЮЛЛЕТЕНЬ ГЕОЛОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ГРУЗИИ

Т. II.

Вып. I

И. КАЧАРАВА

ПАЛЕОГЕН  
ОКРЕСТНОСТЕЙ ТБИЛИСИ

BULLETIN DE L'INSTITUT GÉOLOGIQUE DE GÉORGIE

J. KATSCHARAWA

PALÄOGEN DER UMGEBUNG VON TBILISSI

ИЗДАНИЕ ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АН СССР И ТБИЛИССКОГО  
ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА

Тбилиси

1936

Tbilissi

საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის მუსავა

ტომი II

6533. 4

ი. კაჭარავა

890ლილ მიღეარის პალეოგენის

7262

ულ  
ული  
მხოლოდ C  
გენის უფრო

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ზოლიალის და  
ტფილის სახმარევო უნივერსიტეტის გამოცემა

ტფილის 1936



დაბიზნეს სსრ მთხოვის საქადეპის საქართველოს ფილიალის  
განკარგულებით

## ი. ტაზარავა

### ტფილისის მიღამოების პალეოგენი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ტფილისის მიღამოებში ფაუნისტურად დახასიათებულ შუა მიოცენს ქვეშ ფართედ არის განვითარებული ნალექების საკმაოდ სქელი წყება, რომლის სტრატიგრაფია დღემდე გარკვეული არ არის. ამის მთავარ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოება, რომ ეს ნალექები ღარიბია ნამარხებით. მიუხედავად იმისა, რომ აბის (1887) თავის გეოლოგიურ რუკაზე (2) კოჯორსა და ასურეთს შუა ნუმულიტების შემცველი ქანები აქვს აღნიშნული, ხოლო 1915 წელს თვით ქალაქის ფარგლებშიაც აღმოჩენილ იქმნა ფაუნა (29), ნალექები. მაინც არსებითად დაუთარიღებელი დარჩა, რადგან ნამარხების საჭირო განსაზღვრა წარმოებული არ ყოფილი. ამით აიხსნება კერძოდ ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ნალექებს სხვადასხვაგვარად ათარიღებდენ. ა ბ ი ს ს ტფილისის უახლოეს მიღამოებში სამი პალეონტოლოგიური ჰორიზონტი აქვს გამოყოფილი: ნუმულიტიანი წყება, მელეტიანი წყება და ფაუნისტურად დათარიღებული მოცენი (2). მელეტიანი შრეები 1895 წ. სიმონ ვიჩისაც აქვს მოხსენებული, რომელთაც ეს უკანასკნელი ზედა ეოცენის აკუთვნებდა (48). იგივე შრეები ინუ. წულუკიძის მიერ (1891 წ.) მიოცენად იყო დათარიღებული (56). ფურნიეს (26) ქალაქის უახლოეს აღვილებში განვითარებული ძირითადი შრეები ოლიგოცენად აქვს მიჩნეული და ნამარხებიდან მხოლოდ *Chondrites Targioni* არის დასახელებული. ტფილისის პალეოგენის უფრო ზუსტ დანაწილებასა და დათარიღებას შეეცადა ინუ. კონიუ შევსკი (29), რომელმაც გამოყო თრიფორმაცია: ტუფოგენი და თაბაშირიანი. პირველი, პროფ. ბოგარი მიერ განსაზღვრული თევზების მიხედვით, მან ზედა ეოცენის მიაკუთვნა. მასთან დაკავშირებული აქვს თაბაშირიანი ქანების ქვედა ნაწილიც, რომელშიაც ნუმულიტები იყო პოვნილი. თაბაშირიანი წყების დანარჩენი ნაწილი ოლიგოცენად არის აღიარებული. პროფ. ალ. ჯანელიძეს ტფი-

3.-მგებ. რედაქტორი პროფ. ალ. ჯანელიძე

სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხანვის პროსპ. № 91

მთავრობის № 9521. შეკვეთა № 580. ტირაჟი 1000

ლისის მიდამოებში ორი თევზიანი ჰორიზონტი აქვს აღნიშნული (12). ტფილისის ნუმულიტების პირველი განსაზღვრა ა. რ ი ა ბ ი ნ ი ნ ს. ეკუთვნის (44). ავტორს ქალაქის ფარგლებიდან დასახელებული აქვს *Nummulites incrassatus* de la Harpe, რომელიც ფართო ვერტიკალური გავრცელებით ხასიათდება; ის ჩანდება ზედა ეოცენში და მთელ ოლიგოცენშიც მოიპოვება.

ჩვენ ტფილისის მიდამოებში ორგზის მოვაიხდა მუშაობა: ერთი,— 1929 წელს ნავთლულის მიდამოებში ნავთის საბადოს გამოკვლევასთან დაკავშირებით და, მეორე,— 1933 წელს ქალაქის უახლოეს ადგილებში მინერალური წყლების გეოლოგიის შესწავლის მიზნით. აგეგმილი მოედანი ჩრდილოეთი კუკის ტბებითა და სამხრეთით თელეთის ქედის სამხრეთი ფერდით შემოისაზღვრება, ხოლო კუმისის მიდამოებში აგეგმვა იაღლუჯამდე იქმნა მიყენილი. რაიონს აღმოსავლეთით სოლანლულისა და დასავლეთით კოჯორის მერიდიანები საზღვრავს; ჩრდილო მიმართულებით აგეგმვის ფარგლებში მოექცა ხევძმარის ხეობის ქვემო ნაწილი, სადაც შუა მიოცენის ნამარხიანი შრეებია განვითარებული.

ამ ფარგლებში ტფილისის მიდამოებს მდ. მტკვარი ორ ოროგრაფიულ ერთეულად ყოფს. დღინარის მარცხნივ ვაკე ადგილებია გაშლილი, მარჯვენა მხარისათვის კი მთიანი რელიეფია დამახსიათებელი. ქედები კი მრავალი ხევებით არის დასერილი, რის გამო ძირითადი ქანები კარგად გაშიშვლებულია. მტკვრის მარცხნა მხარეზე ძირითადი შრეები მეტ შემთხვევაში დაფარულია მდინარის აღუვიური ნალექებით. აქ ცნობილია ოთხი ტერასა (12). აგეგმილი რაიონის გარეშე, მტკვრის მარცხნა მხარეზე, ახალ სოფელთან გამოიჩევა კიდევ ერთი, ყველაზე მაღალი ტერასა. აღუვიონში ძირითად შრეებთან კონტაქტში ჩვეულებრივ ორიოდე მეტრის სისქე მკვრივად შედებაბებული კონგლომერატი გამოიყოფა. ზევით კონგლომერატებს ფხვიერი თიხანარევი, მოყვითალო ფერის ქვიშიანი თიხები მოსდევს. ზოგან ქვიშებში ნარიყალის ლინზებია ჩართული. კონგლომერატის პეტროგრაფიული შედეგებით ურთიეროვანია. ჩვეულებრივ სჭაბობს დანალექი ქანები, იშვიათად ეფუზური ქანებიც გამოერევა. ტერასები (მტკვრის) ცნობილია მდინარის მარჯვენა ნაპირზედაც. ასეთებია მდინარის ახლო მდებარე ადგილები: საბურთლო, ვაკე და სოლანლული. მტკვრის მარჯვენა მხარეზე, მდინარის მოშორებით, კუმისის ტბასთან შემჩნეულია აღუვიონი: სახელმობრ, იაღლუჯის ჩრდილო-დასავლეთ ფერდის ძირში. აქ აღუვიონი თითქმის მხოლოდ ეფუზური ქანების რიყის ქვებისგან შედგება. ალგეთის აღუვიურ ნალექებთან შედარებამ გამოარკვია, რომ იაღლუჯის ძირის, ალგეთის ერთ-ერთი ძევლი ტერასის მოწმეა დარჩენილი. ეს ფაქტი იმის უდავო საბუთია, რომ კუმისის ხეობა, რომელიც იაღლუჯასა და თელეთის ქედს შუა მოთავსებული, ალგეთის ძევლი ხეობა არის. რელიეფიც ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ეს ვაკე ადგილი

(ქვევით) ალგეთის ახლანდელ ხეობის უშუალო გავრძელებაა; მხოლოდ დღეს მდინარე ალგეთი, კუმისის ხეობასთან მიახლოვებისას, მას (კუმისის ხეობას) მოულოდნელად სტოვებს, სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაუხვევს და მდ. ხრამს შეედინება.

კუმისის ხეობის ღიღი ნაწილი, ახლა ღვარნალექებით არის დაფარული, რომელნიც უმთავრესად თელეთის ქედის ქანების დაშლის შედებად წარმოიშვა. სოფ. კუმისის უახლოეს მიდამოებში, გადარეცხილ ძირითად შრეებზე, უშუალოდ, ორიოდე მეტრის სისქე ღვარნალექებია განლაგებული. ქვები მხოლოდ ოდნავ არის მორგვალებული. ღვარნალექები საკმაოდ შედუღაბებულია. ზევიდან მას დელუვიური თიხანარევი ქვიშები ფარავს, რომელბშიაც, შიგადაშიგ, თელეთის ქედის ქანების მოზრდილი ნატეხებიც ურევა. დელუვიონი, ტფილისის მიდამოების სხვა დაფილებშიაც საკმაოდ და ფართოდ არის გავრცელებული; მაგ., ვაკესა და ღრმა-ლელეში.

ქედების მოშორებით, დელუვიონი ლიონის მაგვარ თიხებში გადადის, მაგ., მტკვრის მარცხნა ნაპირზე, სამასი არაგველის ხიდის ქვემოთ. ქანი ყვითელი ფერისაა, წვრილმარცვლოვანი, პორიანი და ჰემინის ვერტიკალურ ეროზიულ კედლებს. ნასვრეტებში ბალახის ღეროები მოიპოვება, შრეებრივობა არ ჩანს და ზოგან ქანში რიყის ქვების ლინზებია განვითარებული. შრეებად განლაგებული წვრილი და სუფთამარცვლოვანის ნალექები ვერის შესართავთან პროფ. ა. ჯანელიძის აზრით (13) ტბიურ ნალექებს წარმოადგენს.

აღწერილი პოსტპლიოცენური ნალექების ქვეშ, როგორც აღნიშნული იყო, ძირითადი ქანებია განვითარებული. მათი შესწავლა წინამდებარე შრომის მთავარი მიზანია.

ტფილისის მიდამოების გეოლოგიურად შესწავლის ინტერესს სხვათ შორის მისი მდებარეობაც იწვევს. თრიალეთის ქედი, რომლის აღმოსავლეთ დაბოლოებასთან ტფილისი მდებარეობს, ანტიკავკასიონის ნაოჭთა სისტემის ჩრდილო პეტიოფერული ნაწილია. მას ჩრდილოეთით საზღვრავს ქართლის ბაქანი. ეს ბაქნი, როგორც ირკვევა, აღმოსავლეთისაკენ იჭდენად ვიწროვდება, რომ, მაგალითად, მცხეთასთან, ანტიკავკასიონის ნაოჭთა სისტემას კავკასიონის ნაოჭების სამხრეთი ზოლი უახლოვდება (ჯანელიძე). აქ მტკვრის მარცხნივ ბაქანზე გადაწოლილ კარსნის ანტიკლინის (ანტიკავკასიონის ნაოჭი) კავკასიონის ნაოჭთა სისტემისაგან ბაქნის ნალექების ვიწრო ზოლი ჰყოფს.

ბაქნის გავლენა ტფილისის მიდამოების ტექტონიკურ აღნაგობასაც გარკვეულად ემჩნევა. ტფილისის უახლოეს მიდამოებში, თელეთის ანტიკლინის ორივე ფრთაზე თავს იყრის მთელი რიგი ნაოჭებისა. ასეთებია: სამხრეთ ფერდზე, თელეთის სინკლინი (სოფ. მუხრან-თელეთან) და შავი ფრთის ანტიკლინი (სოფ. წალაბურთან); ნაოჭი სოფ. კუმისის

აღმოსავლეთ ნაწილში იწყება. ერთი ასეთი ნაოჭი განვითარებულია აგრეთვე სოფ. ასურეთის ჩრდილოეთით. ამ ნაოჭებს ჩვენ ასურეთის ანტიკლინს და ოოუბნის სინკლინს ვუწოდებთ. აქ აღნიშნული ნაოჭების მხოლოდ დასაწყისი სიანს და შესწავლით ადგილებში შემდეგი მათი გაგრძელება პოსტლინცენური ნალექებით არის დაფარული, მხოლოდ კუმისის ტბის ჩრდილო ნაპირზე გამოჩენილია ნაოჭებში შემავალი ზედა ეოცენის თიხები და ქვიშაქვები, რომლებიც დაწვრილნაოცებულია; ნაოჭები ზოგან გაწყვეტილია და ჩრდილოეთისაკენ არის გადაწოლილი. ანალოგიური მოვლენა შემჩნეულია აგრეთვე ამ ზრების აღმოსავლეთ გაგრძელებაზედაც (მაგ. მტკვრის მარცხენა მხარეზე აღ-ტაგლასთან). აქაც დაწვრილნაოცებული შრები ჩრდილოეთისაკენ არის გადაწოლილი. ეს გარემოება პირველად ფურნიე მ (26) შემჩნია. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ავტორს მიაჩნდა შრების ჩრდილოეთისაკენ მოძრაობის მაჩვენებლად. ამ მოძრაობას, ჩვენი აზრით, უნდა დაუკავშირდეს თელეთის ქედის სამხრეთი ფერდის შრების დიდი დაქანება ტუფოვენ და თაბაშირიან წყებათა კონტაქტში. სოფ. კუმისიდან დაწყებული შრების დაქანება დასავლეთისაკენ, აღნიშნულ კონტაქტთან, დიდია; ზოგან ეს დაქანება 80° აღწევს, და არის შემთხვევები, როცა შრები სამხრეთისაკენ არის გადაბრუნებული; მაგ., სოფ. ლოუბანთან. აშკარა, აქ ადგილი აქვს შრების ჩრდილოეთისაკენ მოძრაობით გამოწვეულ კიდურ დანაოჭებას.

ვირგაციები ცნობილია აგრეთვე თელეთის ქედის ჩრდილო ფერდობზედაც. ასეთებია: კრწანისის, სეიდაბადის და, შესაძლოა, საბურთალოს სინკლინიც. ორი უკანასკნელი, რომლებიც მტკვრის მარჯვენა მხარეზე ნორმალურად არის გამოსახული, მდინარის მარცხნივ იზოკლინურ ნაოჭებში გადადის (ჯანელიძე). ქალაქიდან დაწყებული ვიდრე ს. ს. ნორიო და მარტყოფამდი, შრები რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთისაკენ არის დაქანებული. ნორმული ნაოჭების იზოკლინურში გადასვლა აქ ნალექების სამხრეთისაკენ მოძრაობით უნდა იყოს გამოწვეული. ეს მოძრაობა ნორიო და მარტყოფის მიდამოებში შეცოცებით არის გამოშულავნებული. პროფ. ა. ჯანელიძის მიერ პირველად შემჩნეული შრების გადატეხა ლოტკის გორაზე და მის ჩრდილოეთითაც იმავე კატეგორიის მოვლენით არის გამოწვეული.

### სტრატიგრაფია

შუა მიოცენი. ტფილისის მიდამოებში ძირითად შრებიდან უახლესი ნალექები ხევძმარის ხეობაში და იღლუჯაზე არის წარმოდგენილი. ხევძმარის ხეობაში, გაახლოვებით მის შუა ნაწილში, მუქი ნაცრისფერი ფიქლებრივი თიხებია განვითარებული. თიხებში ყურადღებას იპყრობს სფერული კონკრეციები, რომელიც გაჰედილია *Spirifer contella*

*pulchella* Baily ეს კარაგანული ჰორიზონტია. მის ქვეშ კვლავ მუქი ნაცრისფერი თიხებია გაშიშვლებული. კიდევ უფრო ქვეშ მოწითალო და მომწვანო თიხების, მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების და კონგლომერატების მორიგეობა. ქვიშაქვები ზოგან ფხვიერია, ზოგან კი პირიქით მკვრივი. როგორც თიხები, ისე ქვიშაქვები და კონგლომერატები თითქმის უნამარხოა. თიხებში შემჩნეული იყო *Leda sp.* ქვიშაქვებში ბლომად გვხვდება *Dentalium sp.* ნაყარში პონილი იყო *Ostrea*-ს ნატეხები. აღწერილი ნალექები უთანხმოდ (ჯანელიძე) არის განლაგებული მაკაბის ტიპის თიხებზე. ხევძმარში შუა მიოცენი სინკლინის აჩენს. რუკის გარეშე სინკლინის ჩრდილო ფერდზე ქვიშაქვებში და მიკროკონგლომერატებში ჩიკრაკული *Erv. praepodolica* და *Cer. Cattleyae*, თიხებში კი *Spirialis sp.* გვხდება. შრების დაქანება ნაოჭის სამხრეთ ფრთაზე 15 — 20° არ აღმატება.

შუა მიოცენის ტრანსგრესიის ნიშნები, თუმცა ნაკლები სიცხადით, იაღლუჯაზედაც ჩანს, სადაც მაკაბის თიხებს უშუალოდ კონგლომერატებისა და ქვიშაქვების მორიგეობა მოსდევს. ნალექებში ორგანული ნაშთებიდან მოლუსებების მხოლოდ ცუდად დაცული კალაპოტები მოიპოვება: *Cardium*, *Tapes* და სხვა. აბი ხი აქედან სარმატული ფორმებს ასახელებს, მაგრამ რატომდაც ნალექები სარმატული სართულისათვის არ მიუკუთხნებია (2). ჩვენი აზრით მიოცენი აქაც ჩიკრაკული ტრანსგრესით იწყება. რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება, ფურნიე მიერ თელეთის ქედის სამხრეთ ფერდზე ნაჩვენები სარმატი (26).

### კალეოგრანი

მიოცენის ქვეშ შესწავლილ რაიონში საქმაოდ სქელი ნალექებია წარმოდგენილი, რომელთაც, აბი ხის გეოლოგიური რუკის (2) შიხედვით, ფუძედ ზედა ცარცის კირქვები უნდა ჰქონდეს. აქედან შესაძლებელია დაცულშვათ, რომ აღნიშნული წყება პალეოგენის გამოსახავს. ლითოლოგიურად ნალექები უმთავრესად თიხებით და ქვიშაქვებით ხსიათდება. წყების ზედა ნაწილში ყურადღებას იპყრობს თაბაშირი; შუა ნაწილში ჭარბად არის წარმოდგენილი გულკანოგენი მასალა. რაც შეეხება ქვედა ნაწილს, აქ ქვიშაქვებისა და თიხების თანამიდევრობაში მერგელები და შერგელებრივი კირქვები იქცევს ყურადღებას.

ო ღ ი გ ი ც ე ნ ი. მიოცენს ქვეშ შესწავლილ რაიონში, როგორც აღნიშნული გვქნდა, მუქი ნაცრისფერი ფიქლებრივი თიხები ძევს, რომლებშიაც ქვიშაქვები იშვიათად გვჩვება. თიხები მდიდარია თაბაშირით. კუმისის ბაქნის მახლობლად თიხებში ხუთიოდე სანტიმეტრის სისქის თაბაშირის ლინზებია განვითარებული. თიხებში მაიკობის წყებისათვის დამახსათებელი კონკრეციები და იარაზიტი მოიპოვება. ხშირად გა-

შიშვლებული ქანი უანგისფრად არის შეღებილი. ორგანიული ნაშთებიდან გვჩვდება თევზის (*Clupea*) ქერცლები და მცენარეების განახშირებული ნაწილები.

საქართველოში ანალოგიური ნალექები ფართედ არის გავრცელებული და მათ ყველგან გარკვეული სტრატიგრაფიული დონე უჭირავთ. ზევით ამ წყებას ჩვეულებრივ (ახალციხის მხარის გამოკლებით) ტრანსგრესიული ჩოქრაკი აძევს. ყველაზე ახალგაზრდა შრეები, რომელნიც მას ქვეშ უძევს ეს ე. წ. აღვის კირქვების (ლეჩები), რომელნიც ზედა ეოცენად არის დათარიღებული. ხოლო სამხრეთ საქართველოში (ახალციხეში) მას ფაუნისტურად კარგად დახასიათებული პრიაბონული სართულის სულ ზედა ნაწილი საზღვრავს, რომელიც ზოგიერთების მიხედვით ნაწილობრივ თითქოს გადარეცხილიც არის. აქედან ცხადია, რომ თევზიანი თიხები ოლიგოცენსა და შესაძლებელია, ზოგან ქვედა მოიცენსაც გამოსახავდეს. უფრო დაწვრილებით თევზიანი თიხების ასაკის შესახებ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი.

ზედა ეოცენი. ოლიგოცენის თიხები ქვეშ თაბაშირიან თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობაში გადადის. ეს ნალექები აგეგმილ რაიონში ორ აღილას კარგად წარმოდგენილია და შესწავლილი. ერთი კუმისის ტბის მიღმოებში და მეორე — საბურთალოსა და ვაკეში (იხ. ჭრილები 1 და 2). საბურთალოს სინკლინში ოლიგოცენის თიხების მცირე ნაშთი უნდა იყოს პოსტბლოკურულ ნალექების ქვეშ. წყების ქვედა საზღვარი ჩვენ იქ გაგვყავს, სადაც თაბაშირიან ნალექებში უკანასკნელად გვხდება ნუმულიტები და დისკოლიკლინები. წყების ქვედა ნაწილისათვის, მამადავთის ჩრდილო ფერდზე, დაფიქლებული თხელშრიანი ქვიშაქვები და ფიქლებრივი თიხებია დამახასიათებელი. წყების დანარჩენი უფრო სქელი ნაწილი სქელშრიანი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვებისა და მუქი ნაცრისფერი ფიქლებრივი თიხებისაგან შედგება. ქვიშაქვები მომწვანო და მოლურჯონ ნაცრის ფერისა და ზოგან შიგადაშიგ კონკრეციებს შეიცავს. გაშიშვლებაზე თიხები ხშირად უანგის ფრად არის შეღებილი. ორგანულ ნაშთიდან ნალექებში *Clupea*-ს მოზრდილი ქერცლებია აღსანიშნავი. მხოლოდ ერთ აღილას, სახელმობრ საბურთალოში, (იხ. ჭრილი 1) პატარა ტანის მოლუსკების კალაბოტები იქნა შემჩნეული.

აღსანიშნავია, რომ თევზის ქერცლები, საბურთალოში და ღრმა-ლელებში, თითქმის მხოლოდ ქვიშაქვებთან არის დაკავშირებული და უმეტეს შემთხვევაში კონკრეციებში გვჩდება.

თელეთის ქვდის სამხრეთით წყება ფარიალურ ცვალებას განიცდის. კუმისის ტბის მიღმოების ნალექებში თიხები სქარბობს, უკანასკნელთათვის მერგელების კონკრეციებია დამახასიათებელი, რომელნიც ხშირად ბრტყელ ლინზებად არის განლაგებული. *Clupea*-ს მოზრდილი ქერცლები ც თითქმის მხოლოდ კონკრეციებში მოიპოვება. ჩვინისგზის

ლიანდაგის გასწვრივ, ქვიშაქვებში მოლუსკების გაურკვეველი კალაპოტებიც აღმოჩნდა. აღნიშნულ აღილებში, როგორც ქვემოთ დავინხავთ, წყება ლითოლოგიურად შუა ეოცენის ქვიშაქვებისა და თიხებისაგან დიდად არც კი განსხვავდება; ასე რომ წყებას ბევრი რამ საერთო აქვს როგორც ზედა, ისე მის ქვეშ მდებარე ნალექებთან. მაგრამ მისი ველზე


ჭრილი 1 Profil (სქემა Schema)

კუს-ტბა Kus-tba.

ვაკე Wake.

ვერა Werafluss.

საბურთალო Saburthaloo



ნაშტაბი 1:42000 Massstab



ქვიშაქვები და თიხები  
Sandsteine u. Tone



ქვიშაქვები და თიხები  
Clupea-ton  
Sansteine u. Tone mit Clupea



ქვიშაქვები და მიკროკონგლომერატები ორსაგდულიანებით და გასტროპოდები  
Mikrokonglomerate u. Sandsteine mit Zweischaltern u. Schnecken



მაიკოპის მაგვარი თიხები  
Tone von Maikoptypus mit Clupea

ვარჩევა ქვედა და მომდევნო წყებისაგან მაინც ხერხდება. ქვედა წყებიდან ის გამოირჩევა იმით, რომ მასში ქვედა წყებისათვის (შუა ეოცენი) დამახასიათებელი ტუფოქვიშაქვები და მიკრობრექჩიები ნუმულიტებით და დისკოლიკლინებით სრულიად არ მოიპოვება. ოლიგოცენი კი, რომელიც მას ზემოდან ადევს, თითქმის მხოლოდ მაიკოპის ტიპის თიხებისაგან შედგება. შუა წყება კი ფიქლებრივი თიხებისა და სქელშრიანი, ზოგჯერ კონკრეციებით, ქვიშაქვების მორიგეობას წარმოადგენს. კონტაქტი უშუალოდ ამ ორ უკანასკნელ წყებათა ზორის შესწავლილ რაიონში არ ჩანს, ამიტომ მათი ურთიერთი დამკიდებულების შესახებ ვერაფერს ვიტყვით. არ ჩანს აქ საქართველოში კარგად ცონბილი ოლიგოცენის ტრანსგრესია. ჩაც შეეხება წყების დათარიღებას, ამის შესახებ შესაძლებლად მიგვაჩნია ვთქვათ შემდეგი: რადგან აღწერილი წყება თანდათან და შეუმჩნევლად გადადის ქვეშ შუა ეოცენის ქანებში და ზევით კი მაიკოპის ტიპის თიხებში, ამიტომ იგი შეიძლება ზედა ეოცენს მიეკუთვნოს.


თაბაზირიანი წყების ნუმულიტი თიხები ნაწილი ქალაქის ფარგლებში კარგად მამადავთის მთის ფერდზე

არის გაშიშვლებული. წყება თიხებისა, მერგელებისა, ქვიშაქვებისა და ტუფოგენი ქვიშაქვებისაგან შედგება. უკანასკნელი განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, რაღაც ფაუნას შეიცავს. თიხები მუქი ნაცრის ფერისაა და ფიქლებრივია. ქვიშაქვები მომწვანო ან მოლურჯონ-ნაცრისფერისაა და ზოგან კონკრეციებიანი. ტუფოგენი ქვიშაქვები სქელ შრეებად არის განვითარებული, ჩვეულებრივ მსხვილმარცვლოვანია და ზოგან მიკრობრექჩიებში გადადის. წყება მდიდარია თაბაშირით. წყების ქვედა ნაწილში, რომელშიაც თიხები სჭარბობს და ქვიშაქვები და მერგელები კი მხოლოდ თხელ შრეებად არის წარმოდგენილი, ნამარხებიდან ცნობილია თევზის ქერცლები. მაგრამ წყების უფრო ზედა ნაწილში ნამარხები მეტია.

ჭრილი 2 Profil (სქემა)

ღრმა-ღლე Ghrmaghele

ხევქმარი Chewdzmari



ფუნიკულიორის მახლობლად რეინისგზის ლიანდაგთან გაშიშვლებული არის ტუფოგენ ქვიშაქვის შრე, რომელშიაც მოლუსკების ნიუარების ცუდ კალაპოტებთან ერთად ნუმულიტების და ღისკოციკლინების ნაჟუჭებიც საკმაოდ მრავლად მოიპოვება. (ჭრილი 3) დაგროვილ მასალაში აღმოჩნდა:

*Nummulites gallensis* Heim.

*N. sp. ex gr. laevigatus* Brug.

*N. atacicus* var. *striatiformis* v. n.

*Discocyclina* sp.

დასახელებული ფორმებიდან სჭარბობს პირველი ორი. აქედან შრეები დასავლეთისაკენ მიემართება და ოქროყანაშიაც კარგად არის გაშიშვლებული. აქაც წყებაში გარკვეულად გამოიჩინება თიხიანი ნაწილი, რომელშიაც იშვიათად *Glupea*-ს ქერცლები გვხვდება. წყების ზედა ნაწილის ტუფოგენ ქვიშაქვებში (ცხრა სხვადასხვა შრე) ნამარხებიდან განსაზღვრული არის:

*N. gallensis* Heim.

*N. sp. ex gr. laevigatus* Brug.

*N. atacicus* var. *striatiformis* n. v.

*N. aff. nitidus* de la Harpe

*Operculina ammonea* Leym. და მიკროფორმინიფერები.

დასავლეთისაკენ წყების ზედა ნაწილში თიხები თანდათან ისოლება და ქვიშაქვებში კონგლომერატები გამოერევა. გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია ისიც, რომ ქვიშაქვებში ზოგან იმავე წყების თიხებიდან მოვლეჯილი ნატეხები მოიპოვება, რაც თხელი აუზის ნალექებში, რომელთაც ეს წყება ეკუთვნის, სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს. კოჯორში ტუფბრექჩიების კონტაქტთან თაბაშირიან წყებაში თიხები და ქვიშაქვები მორიგეობს. აქაც ნამარხებიდან მხოლოდ ნუმულიტები იყო შემჩნეული.

ასურეთში (ჭრილი 4) ტუფბრექჩიებს თაბაშირიანი თიხები და ქვიშაქვები მოსდევს, რომელთაც ზევით ასიოდე მეტრის სისქე კონგლომერატებისა და მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების მორიგეობა სცვლის. კონგლომერატების სახურავ გვერდში პატარა ტანის ნუმულიტები მოიპოვება. სოფ. ასურეთის თავზე კონგლომერატებთან დაკავშირებულია გვირდიანი წყაროების გამოსავლები.

ჭრილი 3 Profil (სქემა)

ამაღლების-ხევი Amaghlebis-chevi

მამადავითი Mamadavithisberg



მასშტაბი 1: 42000 Massstab

- ტუფბრექჩიები (შუა ეოცენი)  
Tufibrezen Mitteleocän Untere Unterstufe
- ბიტუმინანი თიხები თევზის ქერცლებით  
Tone mit Fischschuppen
- თიხები, ქვიზა ქვები და მიკროტუფბრექჩიები *N. gallensis*-ით და სხ. Tone, Sandsteine u. Mikrotuffbrezen mit *N. gallensis* etc.
- თიხები და ქვიშაქვები. (ზედა ეოცენი?)  
Tone u. Sandsteine (Obereocän?)

ასურეთის აღმოსავლეთით, თელეთის ქედის სამხრეთით ფერდზე ჯერ კონგლომერატები და შემდეგ ქვიშაქვები ისოლება, ასე რომ სოღანლულის მიღმიებში წყება თოთქმის მთლიანად თიხებით არის წარმოდგენილი. თიხებს შრების თხელ შრეებრივი და ხშირად დაფიქლებული ქვიშაქვები აქ იშვიათად მორიგეობს. ქვიშაქვები მოყვითალო ფერისაა. სოღანლულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მარინებს ეკლესის ნანგრევ-

თან, ხევის მარჯვენა ნაპირზე, ბოყვითალო ფერის ქვიშაგვებში აღმოჩენილი იქმნა *Operculina ammonica* Leym., *Nummulites* n. sp. და მიკროფორა-მინიფერები. ნავთლულში ავ წყებასთან ნავთის გამოსავლებია და ავ-შირებული. თიხები კი ჩვეულებრივ ბიტუმიანია. ნამარხებიდან თვე-ზის ქრულებია აღსანიშნავი.

როგორც განაკვეთის აღწერიდან ჩანს, წყება ფაუნისტურად საკმაოდ არის დახასიათებული. ნამარხებიდან შედარებით ბლობად მოიპოვება ნუ-მულიტები, რაც შეეხება დისკულიკლინებს და სხვა ნამარხებს, სამუშა-როდ, ისინი მხოლოდ რამოდენიმე ცუდად დაცული ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. ასე რომ, შრეების დასათარიღებლად მხოლოდ ნუმული-ტები ჩერება. ნალექები, როგორც ნამარხების სია გვიჩვენებს შუა ეოცე-ნის ფორმებით არის აღნიშნული.

ა. რ ი ა ბ ი ნ ი ნ ი მამადავითის წყებიდან მხოლოდ *N. incrassatus*-ს ასახელებს. ავტორი შრეების ასაკის შესახებ გარკვეულს ვერაფერს ამ-ზობს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ წყებაში ხსნებული ფორმის არსებობა მამადავითის ნალექების ზედა ერცენად დათარიღებას არ ეწინააღმდეგება. ავტორს ალბად ჩვენი *N. atacicus* var. *striatiformis* n. v. აქვს მხედველობაში.

ეს წყების ზედა ნაწილს შეეხება. ნუმულიტიანი წყების ქვედა ნა-წილი თითქმის უნამარხოა, თუ მხედველობაში *Clupea*-ს არ მივიღებთ, ამიტომ საკითხი მისი ასაკის შესახებ ჯერ გამოურკვეველია. ლითოლო-გიურად ის დაკავშირებულია თაბაშირიან წყებასთან, ამიტომ ბუნებრი-ვია თაბაშირიანი წყების ნუმულიტიან ნაწილს შიეკუთვნოს.

ტუფოგენი წყება (შუა ეოცენი). არა ნაკლებ იცვლება ფა-ციალურად თაბაშირიანი წყების ქვეშ მდებარე ნალექები, ამიტომ მის შესასწავლად საჭიროა რამოდენიმე ტიპიური განაკვეთის გაცნობა. ტუ-ფოგენი წყება აგეგმილ რაიონში ფართოდ არის გავრცელებული. სეიდა-ბადი და თელეთის ქედი თითქმის მხოლოდ მისგან შედგება. ეს ქედები მრავალი ხევებით არის დასერილი, რაც ძლიერ აადვილებს ამ წყების შეს-წავლას.

\* დაბახანის განაკვეთი ბოტანიკურ ბალთან:

1. კოჯრის გზატეცცოლის დასაწყისში თაბაშირიანი თიხები თანდათან გადადის ჯერ წვრილმარცვლოვან და შემდეგ უფრო მსხვილმარცვლოვან ქვიშაქვებში, რომელთაც ქვევით ტუფბრექჩიები სცვლის. ბრექჩიების ძი-რითადი მასა წვრილმარცვლოვან და ზოგან მსხვილმარცვლოვანია, რო-მელშიც მოყოლილი არის შრებრივი ქანების: ნაცრისფერი თიხების, ტუ-ფოგენი მერგელების და ტუფოგენი ქვიშაქვების დიდი ლოდები. აღმართ-ში, ბოტანიკურ ბაღმდი, ტუფბრექჩიებში ყურადღებას იპყრობს სქელ-შრიანი ტუფოგენი მერგელები, რომელთა დაქანებაც ნორმალურია. შე-მდეგ, კვლავ ტუფბრექჩიები ჩანს. თეორ ღუქნთან მიახლოვებისას ტუფ-ბრექჩიებში ისლოება მოყვითალო ფერის წვრილმარცვლოვან კარგად შრებრივი ქვიშაქვები. ეს ქვიშაქვები ტუფბრექჩიებთან ახლოს დაწვრილ-

ნაოჭებულია და დამსხვრეული. აქედან უს შრეები დასავლეთისაკენ მი-ემართება და უკანასკნელად ოქროყანის ხევში არის გაშიშვლებული. წავ-კისისაკენ მათ კვლავ ტუფბრექჩიები სცვლის. სისქე 30 — 40 მ უდრის.

2. ტუფბრექჩიებს ქვეშ უდეგს ორიოდე მეტრის სისქის მუქი ნაცრის-ფერი ფიქლები და ტუფოგენი ქვიშაქვები. ფიქლებში იშვიათად თევზის ქრული მოიპოვება.

3. ტუფბრექჩიები რომლის შედგენაში მონაწილეობას იღებს: მუქი ნაცრისფერი მერგელები, ტუფოგენი ქვიშაქვები და მომწვანო ნაცრის-ფერი მერგელები. ლოდებში აღსანიშნავია პორიანი ეფუზური ქანის დიდი ნატეხები. მისი სისქე საშუალოდ 6 — 8 მ აღწევს.

4. მუქი ნაცრისფერი ფიქლების და მომწვანო ან მოყვითალო ნაც-რისფერი ტუფოგენი ქვიშაქვების მორიგეობა რამოდენიმე ათეული მეტ-რის სისქის. ფიქლები ზოგან მდიდარია თევზის აღნაბეჭდებით, ჩევულებ-რივ ქრულებით. ტუფოგენი წყების ფუძე დაბახანაში გაშიშვლებული არ არის.

განაკვეთი სოფ. კუმისთან.

1. თაბაშირიანი თიხები.

2. ოციოდე მეტრის სისქე ტუფბრექჩია. შიგ მოყოლილ შრეებრივ ქანებს აქ ანდეზიტ-ბაზალტის ლოდებიც ემატება.

3. შრეებად განლაგებული მუქი ნაცრისფერი თიხები, მომწვანო ნაცრისფერი მერგელები და ტუფოგენი ქვიშაქვები. ფიქლებში მრავლად მოიპოვება თევზის აღნაბეჭდები და ქრულები. ფუძე წყებისა აქაც არ ჩანს.

განაკვეთი სოფ. ლოუბანთან, ლოუბნის — ხევის გასწვრივ.

1. თაბაშირიანი თიხები ქვიშაქვები და კონგლომერატები.

2. ტუფბრექჩიები, მოყოლილი შრეებრივი ქანების ლოდებით.

3. სქელ შრიანი, მომწვანო ნაცრისფერი მერგელები, მუქი ნაცრის-ფერი ფიქლები და ტუფოგენი ქვიშაქვები.

4. ა ბ ი ს ე. წ. ნუმულიტიანი შრეები: ჩბილი ფიქლებრივი თი-ხები, ქვიშაქვები და ტუფოგენი ქვიშაქვები. ნამარხებიდან: ნუმულიტები, დისკულიკლინები და ორსაგდულიანები, არის მიკროფორამინიფერებიც. ფუძე წყებისა არა ჩანს.

განაკვეთი სოფელ ასურეთთან, ასურეთის წყლის გასწვრივ.

1. თაბაშირიანი თიხები და ქვიშაქვები.

2. სქელ შრიანი ტუფოგენი ქვიშაქვები ნამარხებით:

*N. sp. ex gr. laevigatus* Brug.

*N. gallensis* Heim.

*N. Murchisoni* Br.

*Discocyclina* sp.

რომელიც ქვეშ მასივი სახის ტუფოგენი ქვიშაქვებში გადადის; უკა-ნაცრისლში, ზემოდ დასახელებული ლოდებია მოყოლილი.

3. მერგელებრივი კირქვები მდიდარი ნამარხებით:

*N. sp. ex gr. laevigatus* Brug.

*Nummulites* sp.

*Discocyclina Archiaci* Schlüm.

4. ა ბ ი ხ ი ს ნუმულიტიანი წყება: რბილი ფიქლებრივი თიხები და სქელშრიანი ტუფოგენი ქვიშაქვები.

განაკვეთი ასურეთის — წყლის გასწვრივ ქორ-ოლლთან (თელეთის ანტიკლინის ჩრდილო ფრთა).


1. თაბაშირიანი თიხები და ქვიშაქვები.

2. ტუფბრექჩიები ქვიშაქვებისა, ფიქლებისა და ეფუზური ქანების ლოდებით. აქვე ანდზიტ-ბაზალტის ზეწარი (ქორ-ოლლთან).

3. მომწვანო ნაცრისფერი მერგელები, ფიქლების და ტუფოგენი ქვიშაქვების მორიგეობით. ამ წყებასთან, კობის მონასტრის თავზე აღმოჩენილია მომწვანო მერგელების ნატეხები ნამარხებით: *Discocyclina Archiaci* Schlum. და *N. atacicus* (Leym.) Roz. ქანში ჭარბობს დისკოციკლინები.

გ რ ი ლ ი 4 Profil (სქემა Schema)

ასურეთი Assurethi



მასშტაბი 1:84000 Massstab

- თიხები, ქვიშაქვები და ფუფოგენი ქვიშაქვები *N. globulus*-ით და სხვა. Tone, Sandsteine u. Tuftogenesandsteine mit *N. globulus* u. and.
- მერგელები და ტუფოგენი ქვიშაქვები *N. ex. gr. laevigatus* და სხვა. Mergel, tuftogene Sandsteine mit *N. sp. ex gr. laevigatus*.
- ტუფოგენი ქვიშაქვები *N. sp. ex gr. laevigatus* და სხვა. Tuftogene Sandsteine mit *N. sp. ex gr. laevigatus* u. and.
- თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა Wechsellagerung der Tone u. Sandsteine
- კონგლომერატებისა და ქვიშაქვების მორიგეობა ნუმულიტებით Wechsellagerung der Sandsteine u. Konglomerate mit Nummuliten.
- თიხები და ქვიშაქვები Tone u. Sandsteine

აღწერილ განაკვეთების შედარებიდან ირკვევა, რომ 1. წყებაში ტუფბრექჩიების ორი ჰორიზონტია წარმოდგენილი, რომელთაგან ერთი უფრო სქელი (5—50 m) წყების ზედა ნაწილს შეადგენს, ხოლო მეორეს — შედარებით უფრო თხელს (10 m) უფრო ქვედა ადგილი უჭირავს. 2 ამავე დროს ტუფბრექჩიის ზედა ჰორიზონტი ფართოდ არის გავრცელებული, რაც შეეხება მეორეს, ის მხოლოდ სეიდაბადზე და თელეთის ქედის აღმო-

სავლეთ ნაწილში გვხვდება. 3. სოფ. კუმისის დასავლეთით ქვედა ტუფბრექჩიები სწყდება და მათ ნაცრლად ტუფბრექჩიებში მოყოლილი ქანები *in situ* არის განლაგებული. 4. თელეთის ქედის სამხრეთ ფრთაზე ზედა ტუფბრექჩიებს დასავლეთისაკენ ბრექჩიის თვისება თანდათან ეკარტება. ასურეთის წყლის მარჯვენა მხარეზე ნაცრლად ტუფბრექჩიებისა მსვილ-მარცვლოვანი, სქელშრიანი ტუფოგენი ქვიშაქვებია განვითარებული. 5. იქ, სადაც ტუფბრექჩიები ტუფოკვიშაქვებში გადადის, ქანი ფაუნასაც შეიცავს.

გარდა ზემოდასახელებული ლოდებისა ტუფბრექჩიებში აღსანიშნავია კიდევ ცირკული ტიპის კირქვები, ნუმულიტიანი და დისკოციკლინიანი კირქვები, კირქვანი ქვიშაქვები და თეთრი ფერის ტუფოგენი ქანები, რომელთა გავრცელების არე უმთავრესად თელეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილით განისაზღვრება. შემჩნეულია, რომ იმ აღილებში, სადაც ტუფოგენ წყებაში ვულკანური ქანების (ანდზიტ-ბაზალტი და ანდზიტ-დაციტი) ზეწრების ნაფლეთები მოიპოვება, ტუფბრექჩიებს ეფუზური ქანების ლოდებიც ემატება.

ლოდების უმრავლესობა უდაოდ აღილობრივი წარმოშობისაა. ნამარხიანი კირქვები, მომწვანო ნაცრისფერი მერგელები, მუქი ნაცრისფერი ფიქლები და ტუფოგენი ქვიშაქვები, როგორც განაკვეთების აღწერიდან ვიცით, თელეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში, ზედა ტუფბრექჩიის ქვეშ *in situ* არის განლაგებული. რაც შეეხება ცარცუს კირქვებს, ისინი ცარცუს მოშორებით, აღმოსავლეთი და ძეგვში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული.

ფაციესებრივ იცვლება აგრეთვე წყების ქვედა ნაწილიც. სეიდაბადზე, ბრექჩიების ქვეშ, მუქი ნაცრისფერი ფიქლები და ტუფოგენი ქვიშაქვები გვქონდა აღნიშნული. სოფ. კუმისის დასავლეთით, თელეთის ქედის სამხრეთ ფერდზე, ამ ქანებს მომწვანო ნაცრისფერი მერგელების საკმაო სქელი შრები ემატება. დასავლეთისაკენ ეს მერგელები თანდათან მერგელებრივ კირქვებში გადადის.

ასურეთის — წყლის მარჯვენა ნაპირზე, მერგელებრივი-კირქვები ნუმულიტების და დისკოციკლინების ნაკუჭების დიდ რაოდენობას შეიცავს. მუქ ნაცრისფერ ფიქლებთან კი წყებისათვის დამახასიათებელი თვეზის ქერცლებია დაკავშირებული (იხ. ტაბ. II სურ. 19).

წყება ფაციესტურად, შეიძლება ითქვას, საკმაოდ არის დახასიათებული. თევზები განსაზღვრული იყო პროფ. ვ. ბოგაჩევის მიერ. სიაში (29) მოყვანილი ფორმები დიდი ვერტიკალური გავრცელებით სარგებლობს, ამიტომ ნალექების ზუსტ დათარიღებისათვის არ გამოდგება. ამ მხრივ აგრეთვე გამოუდევარია მოლუსკების ცუდად დაცული კალაპოტები. სხვა ფორმებიდან ფრიად მნიშვნელოვანია ნუმულიტები და დისკოციკლინები. სოფ. ასურეთში ტუფოგენი წყების ზედა ნაწილში, რო-

გორც ვიცით, *N. Murchisoni* და *N. sp. ex gr. laevigatus* არის შემნეული, წყების ქვედა ნაწილში კი უკანასკნელი ნუმულიტი და *D. Archiaci* ს. აღნიშნული ფორმები შუა ეოცენის დამახასიათებელი ნამარხებია. ასე რომ, ტუფოგენი წყება შუა ეოცენს უნდა მიეკუთვნოს.

ბრექჩიების ლოდებიც ზოგან ნამარხიანია, მაგ. შავნაბადასთან ფიქლის ნატეხში, რომელიც ტუფბრექჩიიდან იყო ამოდებული, ტუფოგენი წყების დამახასიათებელი ქრულები აღმოჩნდა. იქვე და აგრეთვე ოლეთის ქედის ჩრდილო ფერდზე, სოლანლულის რკინისგზის ხილის მახლობლად და უფრო დასავლეთითაც, ნაპოვნია ნამარხებით გაჭედილი კირქვის ლოდები. ფაუნიდან აღსანიშნავია *N. irregularis* და *N. Murchisoni*, რომელიც, როგორც ცნობილია, შუა ეოცენის შემდევ არა გვხდება. ტუფოგენი წყება კი, რომელშიაც ტუფბრექჩიები შედის, შუა ეოცენად გვაქვს დათარიღებული. აქ საინტერესოა ტუფბრექჩიების წარმობის საკითხი. ამისათვის საგულისხმო დასკვნებს იძლევა ბრექჩიებში მოყოლილი ლოდების ფორმა და მათი განლაგება. ლოდები ჩვეულებრივ დიდებია და ზოგან შრებად არის მოყოლილი. ამ შრების განლაგებაში არავითარი წესრიგი არ არის დაცული. შრებრივი ლოდები ხან ყირაზე დგას, ხან კი სხვადასხვა კუთხით არის დაჭანებული; ეს შრები იშვიათ შემთხვევაში დანაოჭებულიც არის. ამავე დროს ლოდებზე წყლის მოქმედების არავითარი ნიშანკვალი არ ემჩნევა. ამიტომ, ბრექჩიების წარმოშობას ტრანსგრექსის შედეგად ვერ ჩავთვლით. ბრექჩიები შუა ეოცენის აუზში დალექილი მასალის დანგრევის შედეგია (ინფრაფორმაციული ბრექჩია) და ასაკით შუა ეოცენსავე მიეკუთვნება. როგორც ძირითად მასაში, ისე მოყოლილ ლოდებში, შუა ეოცენის დამახასიათებელი ნამარხებია განვითარებული. აბის ბრექჩიები „ხლართული შრებრივობის კონგლომერატების“ სახელით აქვს გამოყოფილი და ეფუზურ ქანად სთვლიდა (1).

ქვედა ეოცენი. შექავლილ რაიონში ყველაზე ძველი ნალექები ქოროლის ხევშია გაშიშვლებული. ხეობა თელეთის ანტიკლინის ღერძს გაუყვება. ნაოჭის გულში წარმოდგენილია რბილი თიხები და ქვიშაქვები, რომლებზედაც ტუფოგენი წყების მცვრივი ქანები ხევის ორივე ნაპირზე კარნიზებად არის განვითარებული. ხევის მარჯვენა მხარეზე კარნიზის გაჩენაში ქოროლის ანდეზიტ-ბაზალტის განფენიც მონაშრეობს. ძველ ლოუბანში მუქ-ნაცრისფერ ფიქლებრივ თიხებში ფხვიერი და ზოგან დაფიქლებული ქვიშაქვების და აგრეთვე ძლიერ მკვრივი კირქვიანი ქვიშაქვის ლინზები მორიგეობს. ლინზების სისქე 5 cm არ აღმატება. ლინზის ქანი გაჭედილია ნამარხებით. მრავლად არის დისკოცილინები, შედარებით იშვიათად ნუმულიტები და ორსავდულიანები. დაგროვილ მასალაში განსაზღვრულია:

- *Discocyclina Archiaci* Schlum. (ბლომად)  
- *Nummulites globulus* Leym.

*N. atacicus* Leym. (Roz.). - E<sub>1</sub>-2  
*N. sp. ex gr. Lucasi d'Arch.* - E<sub>1</sub>,  
*Nummulites sp. n.*

*Pecten* sp.  
და მიკროფორმამინიფერები.

ასურეთის წყლის ხეობაში წყება კარგადაა გაშიშვლებული. გაშიშვლების ძირში ნაპოვნია ნამარხიანი ქანების ლოდები. ქანი ძლიერ კირქვიანია; მისი სისქე 15 cm არ აღმატება. ქანი აქაც გაჭედილია ნამარხებით. მასალაში აღმოჩნდა:

*D. Archiaci* Schl.  
*N. atacicus* Leym. (Roz.)  
*N. globulus* Leym.  
*N. sp. ex gr. Lucasi d'Arch.*  
და მიკროფორმამინიფერები.

წყების გავრცელების დასავლეთ ნაწილში ყურადღებას იპყრობს უნამარხო, მკვრივი სქელშრიანი ტუფოგენი ქვიშაქვები, რომელიც წყების რბილ ქანებში სერებად არის განვითარებული. ა ბ ი ხ ს (2) ეს ნალექები ნუმულიტიანი წყების სახელით აქვს გამოყოფილი. ჩვენი მასალის მიხედვით, უფრო მართებული იქნება მას დისკოცილიტიანი წყება ვუწოდოთ. ა ბ ი ხ ი ს ნუმულიტიანი შრების სასახის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ბაასი. ეხლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ეოცენს ეკუთვნიან.

დ ა ს კ ვ ნ ა. როგორც დავინახეთ, ტფილისის ბალეგონისათვის განსაკუთრებით ნუმულიტებია დამახასიათებელი. ნუმულიტების მნიშვნელობა კი საყოველთაოდ ცნობილია ქვედა მესამეულის სტრატიგრაფიაში. ზუსტად განსაზღვრული ნუმულიტები შრების დათარიღების საშუალებას იძლევა. მაგრამ მათი განსაზღვრა ყოველთვის როდია ადვილად მოსახერხებელი. ეს გარემოება გამოწვეულია ნუმულიტების დიდი ცვალებადობით. Rien n'est pas variable comme une Nummulites, იმეორებს ნუმულიტების ცნობილი მცვლენე ბუსაკი de la Harpe-ის სიტყვებს (11. p. 10), ნუმულიტების განსაზღვრისათვის საჭირო ბევრი მასალა. მართალია, ნუმულიტები ჩვეულებრივ მრავლად მოიპოვება და ხშირად ქანთმაშენ ცხოველებად გვივლინება, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ ითქმის ტფილისის მიდამოების შესახებ. როგორც ვიცით, ტფილისი საერთოდ ღარიბია ნამარხებით, და შეიძლება ითქვას, რომ იგი ღარიბია ნუმულიტებითაც.

ნუმულიტების ვერტიკალური გავრცელების სქემა ნალექების დასათარიღებლად და ამ სქემით სარგებლობა ახლა უკვე არავის მხრივ დავას არ იშვევს. კერძოდ, ნუმულიტების განვითარებაში ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა შემჩნეული, სახელდობრ ის, რომ შუა ეოცენში ნუმულიტები განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ნუმულიტები აქ, დიდი ფორმებით არის წარმოდგენილ. დასაწყისში (პალეოცენი) და განვითარების უკანასკნელ საფეხურზე

(ოლიგოცენი) ნუმულიტების მხოლოდ პატარა ფორმები გვხდება. საინ-ტერესო, როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ტფილისის მიღამოებში. ის ნალექები, რომელნიც შეა ეოცენად არის დათარიღებული, საშუალო (10 — 15 მმ) სიდიდის ფორმებით ხასიათდება. ნუმულიტების დიდი ფორმები, ტფილისის მიღამოებში ჯერ ცნობილი არ არის. რასაკვირვე-ლია, ეს გარემოება თავისთვად დათარიღების საწინააღმდევოდ არაფერს ამზობს. ტფილისის მიღამოების შეა ეოცენში ნუმულიტების ის ფორმებია წარმოდგენილი, რომელნიც დასავლეთ ევროპაშიაც დიდი არ იზრდება. ჩვენი ფორმები, ევროპის ანალოგიურ შეა ეოცენის ფორმებს სი-დიდით არც იძლენად ჩამორჩება, არის შემთხვევები, როდესაც გაუტოლდება კიდეც. ამასთან ერთად აქვე უნდა შევნიშნო, რომ შეა ეოცენი დასავლეთ ევროპაშიც როდის ყოველგან დიდი ნუმულიტებით წარმოდგენილი. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას სამხრეთ ალბა-ნეოთ, სადაც პალეოგენში, როგორც როცლოცნიკი ალნიშნავს, ნუ-მულიტების დიდი ფორმები არ ჩანს (43 p. 237). სამხრეთ ალბანურ და ტფილისის ნუმულიტოვან ფაუნის მზგავსების შესახებ ამ შრომის პალეონტოლოგიურ ნაწილში საკმაოდ არის ნათქვამი. ტფილისის მიღამოებში განვითარებულ სამ ნუმულიტიან ჰორიზონტს შეა ეოცენის ფორმები საკმაოდ დამაჯერებლად არის გამომუღავნებული. მაგრამ არის აგრეთვე ნიშნები, რომელნიც ჩვენის აზრით სამივე ჰორიზონტების და-დამოუკიდებლობის სასარგებლოდაც ლაპარაკობენ. ავილოთ აბიხის ნუმუ-ლიტიანი წყება, რომლიდანაც შემდეგი ნამარხებია განსაზღვრული:

*Nummulites globulus* Leym.

*N. atacicus* Leym. (Roz.)

*N.* sp. ex gr. *Lucasi* d'Arch.

*Nummulites* sp. nov.

*Discocyclina Archiaci* Schlum.

სიაში ოღნიშნული ფორმები საერთოდ ცნობილია, როგორც ქვე-  
და ისე შეუა ეოცენიდანაც. ასე რომ, ეს ფორმები წყებას ზუსტად  
ვერ დაათარიღებს. მაგრამ აქ შეიძლება გამოითქმული იქნას რამოდენიმე  
მოსაზრება, რომელიც მართალია საკითხს პირდაპირ ვერ სწყვეტენ, მაგ-  
რამ მაინც დიდად საგულისხმოა. საქმე შემდეგშია: 1. ოღნიშნულ ნალე-  
ქებში პალეოცენის არც ერთი ტიპიური ფორმა არ მოიპოვება, 2. ამავე  
დროს, წყებაში არც *N. sp. ex gr. laevigatus* იყო შემჩნეული; ფორმა, რო-  
მელიც მომდევნო ტუფოგენ წყებაში, ძლიერ ბლობად მოიპოვება. სა-  
ერთოდ კი *N. laevigatus* მხოლოდ ლუტეცური სართულიდან არის  
ცნობილი; 3. გარდა ამისა ისიც აღსანიშნავია, რომ ეოცენის პრიმიტიუ-  
ლი ფორმები, როგორიცაა: *N. globulus* და *N. sp. ex gr. Lucasii* ტუ-  
ფოგენ წყებაში არ გადადის. ორი უკანასკნელი ფაქტი სტრატიგრაფიუ-  
ლი პორიზონტების გამოყოფის საშუალებას იძლევა. ეს პალეონტოლოგი-  
ურად გამოყოფილი პორიზონტი ლითოლოგიურ პორიზონტებს საესტენ-

ასელა, თუ თაბაშირიან წყების ქვედა ნაწილს შევეხებით, აქაც ნუ-  
მულიტების ვერტიკალ განაწილებაში ცვლილება ემჩნევა. წყებაში *N.  
gallensis*-სა და *N. sp. ex gr. laevigatus*-ს გვერდით, ნუმულიტების სხვა ფორ-  
მები ჩნდება. ასეთებია *N. aff. nitidus* de la Harpe და *N. atacicus* var. *striati-  
formis* nov.var., რომლებიც რიცხობრივ პირველ ორს ძლიერ ჩამორჩება,  
მაგრამ ჩვენთვის მაინც ფრიად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რად-  
გან ძირი ქვედა წყებაში შემჩნეული არ არის. *N. aff. nitidus*-ს მხოლოდ  
ერთი ეგზემპლარი მოგვეპოვება და ამიტომ ზუსტ განსაზღვრაზე ლა-  
პარაგი ზედმეტია, მით უმეტეს რომ, ის ძლიერ ახლო დგას ზედა ეოცენის  
*N. Bouillei*-სთან, რომელიც მისი მუტაციაა და მის მომყოლ ფორმად არის  
ცნობილი (43 p. 106). ასევე ძნელი გასარკვევია *N. atacicus* var. *striati-  
formis* ზედა ეოცენის *N. incrassatus* (Rosai)-საგან. ორიოდე ეგზე-  
მპლარი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, ამის საშუალებას საკეთით არ  
იძლევა. საერთოდ უნდა აღინიშნოს უკანასკნელი ფორმის დიდი მგზავ-  
რება ზოგიერთ შუა ეოცენის ნუმულიტებთან. გავიხსენოთმაგ. ბუსაკის  
სიტყვები, თუ არა სტრატიგრაფიული დონე, *N. incrassatus*-ის *N. globulus*-ისა-  
გან გარჩევა შეუძლებელი იქნებოდა. ტფილისის მიღამოებში კი, რო-  
გორც ვაცით, აღნიშნული ფორმა შუა ეოცენის *N. gallensis*-სა და *N. sp.  
ex gr. laevigatus*-ს გვერდით მოიპოვება. ეს ორი უკანასკნელი ნუმუ-  
ლიტი შუა ეოცენის ზევით ცნობილი არ არის. ამიტომ ეჭვს ბადებს  
რიაბინინის მიერ მამადავითიდან განსაზღვრული *N. incrassatus*. წყების  
ჰასაკის დაღვენაში მთვავარი ყურადღება უფრო გავრცელებულ ფორმებს.

უნდა მიექცეს. ასეთებია ლუტეციური *N. sp. ex gr. laevigatus* და *N. gal-lensis*, ამიტომ ტფილისის თაბაშირიანი წყების ნუმულიტებიანი ნაწილი შუა ეოცენს უნდა მიეკუთვნოს. მაგრამ, ვინაიდან ეს წყება შუა ეოცენის ტუფოგენი წყებიდან ლითოლოგიურად მკვეთრად გამოირჩევა და ამავე დროს მასში ნუმულიტების სხვა ფორმებიც ჩნდება, რომლებიც ქვედა წყებაში ცნობილი არის და დისკოციკლინებიც თანდათან გადაშენებას განიცდის, შესაძლებლად მიგვაჩნია ჩვენ ის ლუტეციური სართულის ზედა ქვესართულად დათარიღდეს. მაგრამ აქ სხვა შესაძლებლობაც არის და-საშვები, სახელდობრ ის, რომ შემდეგში, თუ ახალი მასალების დაგროვებასთან ერთად საეჭვოდ განსაზღვრული შუა ეოცენის ფორმების ნაცვლად, მათი ზედა ეოცენის მუტაციები მოგვევლინა, მაშინაც შეუძლებელია აღნიშნული წყების ზედა ეოცენად აღიარება. შუა და ზედა ეოცენის ფორმების ერთ წყებაში ადრევა მხოლოდ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ აქ საქმე გვაქს გარდამავალ ნალექებთან, ანრა შესაძლებელია აქ შუა და ზედაოცენის ფორმები მართლა არეულიც. ანალოგიური ფაქტები ცნობილია ლიტერატურიდან. (59) შუაეოცენის ფორმების არსებობას ზედაეოცენში სწავლის მათი გამორჩეული ქვედა პორიზონტიდან. მაგრამ 1. მამადათის წყებაში ნუმულიტებს გადამუშავება არ ეტყობა და 2. არც ამ წყების ტრანსგრესიული განლაგება ჩანს აქ; წყება პირიქით თანდათან და შეუმჩნევლად გადადის ტუფოგენ ქანებში.

ა ბ ი ხ ი ს გოლოგიური რუკის მიხედვით ქვედა ეოცენი (აბისის ნუმულიტიანი წყება) ზედა ცარცუ ადევს უშუალოდ.

### ტფილისის გესამეული აუზის ფიზიკური და მიმიური თვისებანი

ტფილისის მესამეული ნალექები თხელ ზღვაში დალექილ მასალას წარმოადგენს. ამას ნალექების პეტროგრაფიული შედეგნილობა (რომლის შესახებ სტრატიგრაფიულ ნაწილში საკმაოდ იყო თქმული) და პალეონტოლოგიური ხასიათი სავსებით აღასტურებს. ამავე დროს ქვედა ეოცენში თიხებთან და ქვიშაქვებთან ერთად ტუფური მასალა მოიპოვება, რაც ვულკანური მოქმედების მაჩვენებელია. შუა ეოცენიდან ვულკანური მოქმედება ძლიერდება და მასთან დაკავშირდებით ნალექებში ფართედ არის გარელებული ვულკანოგენი მასალა: ზეშრები და ტუფოგენი ქანები. შუა ეოცენის მეორე ნახევარში ვულკანური მოქმედების შესუსტებასთან ერთად აუზში სულ სხვა რეჟიმი მყარდება. კლასტიურ ქანებთან ერთად ბლომად ილექტება თაბაშირი. ნუმულიტები და დისკოციკლინები ახალ პირობებს ვერ ეგუება და მაღა (ზედა ეოცენში) თითქო სრულ გადაშენებას განიცდის.

კურადღების ლირისია ის გარემოება, რომ ნუმულიტები და საერთოდ ბენტონური ცხრველები ტფილისის მიღამოებში ტუფოგენ მასალას-

### ტფილისის მიღამოების პალეოგენის სტრატიგიკული სერია.

ნალექები	ნაშარხები	სართულები	ადგილი
თიხები, ქვიშა-ქვები და კონ-გლომერატები	<i>Ervilia praepodolica</i> , <i>Gerithium Cattleyae</i> და სხვა	ჩოკრაკული პორიზონტი	იალუჯა, ხევძმარი
თაბაშირიანი თიხები	<i>Clupea-s ქერც-ლები</i>	ოლიგოკენი	იალუჯა, ხევძმარი
თიხები და ქვი-შაქვები	<i>Clupea-s ქერც-ლები და მო-ლუსკები</i>	ზედა ეოცენი?	ვაკე, საბურთალო, კუმისის ტბის მიდა-მოები
თიხები, ქვიშა-ქვები და მიკრო-ტუფბრექჩიები.	<i>N. gallensis</i> , <i>N. sp. ex gr. laevigatus</i> და სხვა	ლუტეციური სართულის ზედა ქვე-სართული	მამადავითი, კოჯორი, ოქროყანა, ასუ-რეთი, სოლანლული, ნავთლული
ტუფბრექჩიები, ტუფოგენიკიშა-ქვები, ფიქლები, მერგელები და მერგ. ფიქლები	<i>N. atacicus</i> , <i>N. Murchisoni</i> , <i>D. Archiaci</i> და სხვა	ლუტეციური სართულის ქე-და ქვე-სართული	სეიდ-აბადი და თე-ლეთის ქედი
თიხები, ქვიშა-ქვები და ტუ-ფოგენიკიშა-ქვები.	<i>N. globulus</i> , <i>N. sp. ex gr. Lucasi</i> , <i>D. Archiaci</i>	ქვედა ეოცენი?	ქველი ლოუბანი, კო-ბის მონასტრის მი-დამოები

თან ას მერგელებთან არიან დაკავშირებული და რატომღაც თიხებს გაუზრიან. როგორც აღწერილიდან ვიცით, თიხები ტფილისის მიღამოებში ბოტუმიანია. ნავთლულში ამ თიხებთან ნავთი გამოდის. აშეარაა, რომ ბიტუმის წარმოშობის პირობებში ბენტონური უხველები აუზში ვერ განვითარდებოდენ. ეს პირობები ტფილისის მიღამოების მესამეულ აუზში ოლიგოცენის დასრულებამდი გრძელდება.

პალეოგენის მიწურულში ნალექები დანაოჭებას განიცდის და ზღვა უკან იხევს. შუა მიოცენში ზღვა კვლავ უტევს ტფილისის მიღამოებს. ხევძმარის ხეობაში გადარეცხილ ოლიგოცენზე კუთხური უთანხმოებით განლაგებული ჩოკრაკი მისი უტყური საბუთია.

### ტფილისის პალეოგენის საქართველოს სხვა კუთხევების პალეოგენის დაკავშირება

პალეოგენი საქართველოში ფართედ არის გავრცელებული და ზოგიერთ ადგილებში საკმაოდ მდიდარ ფაუნას შეიცავს; მაგ. ახალციხესა და დასავლეთ საქართველოში. არსებობს ცალკეული კუთხების სტრატიგრაფიული სქემის დადგენის ცდები, რაც მეტ შემთხვევაში თითო-ოროლა ნამარხის განსაზღვრისა და წყებათა სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით არის წარმოებული. ეს გარემოება თითქოს ეჭვის ქვეშ აყნენ საქართველოს პალეოგენის შედარებითი შესწავლის დროულობას. მაგრამ ჩვენ სხვაგვარად ვუყურებთ საქმეს. ჩვენი აზრით ასეთი ცდის მოხდენა სასარგებლობა თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს პალეოგენის შედარებითი შესწავლა ცალკეული კუთხების სტრატიგრაფიული სქემის დაზუსტებისადმი მეტ ინტერესს გამოიწვევს. შესაღარებლად ჩვენ ვილებთ საქართველოს ყველაზე უკეთ შესწავლილ რაიონებს: სამხრეთ საქართველოში ახალციხის მესამეულ აუზს და დასავლეთ საქართველოში ლეჩხუმისა და სამეგრელოს.

ახალციხის მესამეული აუზის შესწავლა *Dubois de Montpereux*-დან იწყება (14). აუზის პირველი სტრატიგრაფიული სქემა და ზოგიერთი ნამარხის აღწერა მოცემულია აბითის შრომებში (3, 4). შემდეგში აქ მუშაობნენ სიმონ თვირთი და სოროკინი (47). ბოლო ხანების ავტორებიდან აღსანიშნავად მეფერტი (34, 36), ლუკა-შევიჩი და სტრახოვი (33).

აქ მოცემულ სქემაში თვლასაჩინოდ არის გამოხატული ნალექების ჰრილი და ნალექების სტრატიგრაფიაზე ავტორების შეხედულება (იხ. სქემა).

ახალციხის რაიონში წარმოდგენილი აველაზე ძველი ნალექები — ტუფოგენი წყება — ნამარხებს არ შეიცავს. და სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით შუა ეოცენს აკუთხნებენ. სოროკინი და სიმონ თვირთი მას ქვედა ეოცენად ათარიღებენ.

ასალციხის მესამეული აუზის კალეგიანი

აბითი 1887	სოროკინი და სიმონ- ციციშვილი 1886	მეცნიერების ასალციხი 1886	მეცნიერების ასალციხი 1923	ლუკა-შევიჩი და სტრა- ხოვი. 1933	ლუკა-შევიჩი და სტრატიგრა- ფიულის ხეობა, მინაისთან. 1933	ჩვენი ინ- ტერაციუ- ლურის ტაცი	ლუკა-შევიჩი და ციციშვილი მეცნიერები	ლუკა-შევიჩი და ციციშვილი მეცნიერები
0	9	6	3	0	4	0	2	0
შუა	თახები.	ნალექები.	Cardium <i>aralense</i> -თი	Cardium <i>ara-</i> <i>lense</i>	Cardium <i>ara-</i> <i>lense</i>	კირშავები	თახები	კირშავები
კველა	უზრუნველყოფილი	უზრუნველყოფილი	უზრუნველყოფილი	უზრუნველყოფილი	უზრუნველყოფილი	კუთხების ნალე- ქები.	კუთხების ნალე- ქები.	კუთხების ნალე- ქები.

მარიან ბულე-იონ  
M. Bouillet-იონ,  
თუმცანი თხები

	ზედა ნუმულიტ- ჩქინი	განანი ნუმულიტ- ჩქინი	სორინი და სიმო- ნოზინი 1886	1923 შეფერტი	1933 და სტრა- ხოვი.	ლუკაშვილი და სტრა- ხოვი. 1933	ლუკაშვილი და სტრა- ხოვის გინაგოსან. 1933	ჩენი ინ- ტრანზი- ტაცია
0	9	8	7	6	5	4	3	2
ზედა	ნუმულიტ- ჩქინი	განანი ნუმულიტ- ჩქინი	თუშანი თიხები	ნუმულიტინი და დისკოლიტინი ანი ნალუქები	თუშანი თიხები, ნუმულიტინი და დისკოლიტინი ლინებინან ნალუქები	თუშანიანი თიხები, ნუმულიტინი და დისკოლიტინი ლინებინან ნალუქები	ნუმულიტინი და დისკოლიტინი ლინებინან ნალუქები	ჩენი ინ- ტრანზი- ტაცია
0	9	8	7	6	5	4	3	2
სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო	სარჯეო
ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი	ფლიჭი
ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი	ტუშამარქუშინი

მომდევნო ნუმულიტებიანი შრეები აბინისა (4) და სოროკინი მომდევნო ნუმულიტებიანი შრეები (47) მიერ შუა ეოცენად იყო დათარიღებული. პირველად ეჭვი ამ დათარიღების სისწორეში O p r e n h e i m-მა შეიცავა (39). ოუმცა ახალციხის მესამეულის აუზის ნამარხიანი ნალექების დიდი ნაწილი ავტორმა ოლიგოცენს მიაუთვნა, მაგრამ გამოსთვევა აზრი, ქვედა ნაწილის პრიაბონულ მართულისათვის მიკუთვნების შესაძლებლობის შესახებ. მართლაც, როგორც ფაუნის, განსაკუთრებით ნუმულიტების და დისკოლიტინების შესწავლიდან გამოირკვა, ახალციხის ნამარხიანი შრეების ზედა ნაწილი ზედა ეოცენს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შეხედულება ახალციხის ნამარხიანი შრეების სულ ქვედა ნაწილის შესახებ გამოთქმულია აბინის უკანასკნელ შრომაში (3).

დავას იწვევს თევზიანი თიხებისა და მომდევნო ქვიშაქვების ასაკი. თიხებში გარდა თევზებისა და ცუდად დაცული მოლუსკებისა სხვა რამ ნამარხი ცნობილი არ არის. ქვიშაქვებიდან ავტორები, როგორც მაგ. მეფე ერტი, Pecten arcuatus Br.-ს ასახელებენ. მხოლოდ უკანასკნელად ამ ქვიშაქვებში პოვნილია ნუმულიტები. ლუკაშვილი და მათ ქვეშ მდებარე თიხებს ზედა ეოცენს უკავშირებენ. ქვიშა ქვები მიკუთვნებულია პრიაბონული სართულის ზედა ნაწილისათვის, თევზიანი თიხები კი, ავტორების შეხედულებით, ზედა ეოცენის შუა ნაწილს წარმოადგენს. მძრიგად, სიმონი და სორინის და სოროკინის შეხედულება თევზიანი თიხების ჰასაკზე ს ტრანსის და ლუკაშვილი და შევის ს სექტაში პოლობს გამართლებას. მეფე ერტის ორივე წყება ოლიგოცენად მიაჩნია. ჩვენს ხელთ მოიპოვება ქვიშაქვებიდან აღებული ნუმულიტის ორი ეგზემპლარი (მასალა გადმოცემულია A. პ. ჰილროულექტრონ ცენტრის მიერ). ორივე N. Bouilleide la Harpe აღმოჩნდა. ეს ფორმა de la Harpe-ს მიერ აღწერილია ოლიგოცენიდან, მაგრამ ზედა ეოცენშიაც მოიპოვება. თუ მხედველობაში შევიღებთ იმ გარემოებას, რომ პრიაბონული სართული ახალციხის მესამეულ აუზში მთლიანად წარმოდგენილი და ზოგან მხოლოდ ნაწილობრივ გადარეცხილიც არის (მეფე ერტი), მაშინ უფრო სწორი იქნებოდა ნუმულიტიანი ქვიშაქვები ოლიგოცენს მიეკუთვნოს, მით უფრო რომ ზუსტად დათარიღებულ პრიაბონულ სართულსა და ნუმულიტიან ქვიშაქვებს შორის კადევ ერთი წყება, სახელდობრ, თევზიანი თიხებია განლაგებული. რაც შეეხდა უკანასკნელს, ისინი მეფე ერტის შეხედულებით ტრანსგრესიულია (რაბადში), რადგან პრიაბონული სართულის სულ ზედა ნაწილი წარმოდგენილი არ არის. ამიტომ ეს თიხები უფრო ოლიგოცენს უნდა მიეკუთვნოს.

ყურაოუნის შრეებს უკანასკნელად შუა ოლიგოცენად ათარიღებენ, წინააღმდეგ აბინისა, რომელიც მათ ზედა ოლიგოცენად სთვლი-

და ყურათუბნის შრები საკმალდ მდიდარ და კარგად დაცულ ნამარხებს შეიცავს. ნაწილი ნამარხებისა შესწავლილ იქმნა აბისის მიერ, მაგრამ ცხადია, ეს არ კმარა, საჭიროა მისი სრული დამტშავება და ასაკიც ყურათუბნის ჰორიზონტისა საბოლოოდ გადაწყდება.

გაურკვეველია აგრეთვე ე. წ. ცირენიანი ქვიშაქვების სტრატიგრაფიული მდებარეობა. აბის ამ ნალექებიდან დასახელა Cyrena- ანliche Form, რომელიც შემდეგ Cyrena-დ იღმოჩნდა, როგორც ჩვენ მიერ 1927 წელს ახალციხეში პატარა ხნით ჩატარებულმა მუშაობამ გამოარკვია, აქ Corbula-ც მოიპოვება. ახალციხის მესამეული აუზის ჩატარებულ ნაწილში ყურადღებას იპყრობს თიხებისა, ქვიშაქვებისა და კონგლომერატების მორიგეობა. ნალექებში ნამარხებიდან ხშირია Corbula Helmerseni Mikh. და Cyrena; შედარებით იშვიათია Melanopsis და Cardium. Corbula Helmerseni მისა ილოვს სკიმ მართალია აღწერა. ლიც არალის მიდამოების პალეოგენის სტრატიგაფიას იკვლევს ამჟამად, არალის კორბულიანი შრები ზედა ოლიგოცენად მიაჩნია (პირადად გადმოცემული). წინათ ეს ნალექები ქვედა მიოცენად იყო მიჩნეული. საქართველოს ფარგლებში პირველად კორბულიანი შრები შიშკინა აბოვაჩევამ აღნიშნა (8) თორიდან (ბაკურიანთან). ავტორი მათ ზედა ოლიგოცენად ათარიღებს. კორბულიანი შრების ჰასაკის ზესტი განსაზღვრა უველაზე უკეთ ახალციხის მესამეულ აუზშია შესაძლებელი, სადაც აღნიშნული ნალექები ფაუნისტურად კარგად დახსიათებულ ყურათუბნის შრებს მოსდევს. ახალციხის ფრადი წყების ასაკის შესახებ მასალის უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით.

დასასრულ საჭიროა შევეხოთ კიდევ ერთ სტრატიგრაფიულ ჰორიზონტს, რომელიც ახალციხის აუზში პირველად სტრასომა და ლუკაშევის აღნიშნებს. მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ქვედა თევზიანი“ ჰორიზონტი. ახალციხის აღმოსავლეთის ნაწილში, მდ. მტკვრის ნაკირებზე, სოფ. მინაძესთან, ეს ჰორიზონტი ოვერიული სართულის ქვეშ მდებარეობს: ავტორების შეხედულებით, დასავლეთისაკენ თევზიანი ქვიშაქვების და თიხების ქვედა ნაწილი ტუფბრექიტებში გადაიდის, ზედა ნაწილი კი გადარეცხილი უნდა იყოს. და მართლაც ქალაქსა და მის დასავლეთით, ტრანსგრესის ნიშნები ჯერ კიდევ აბის ამ შეამჩნა. ტრანსგრესის ასტებობას აქ არავინ არ უარყოფს. მხოლოდ ზოგიერთი ავტორი (მეფერტი) მას სოვლის აღვილობრივი (არა სტრატიგრაფიული) მნიშვნელობის ხარვეზად. მაშასადამე ეს თევზიანი ჰორიზონტი ტუფოგენ წყებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

პალეოგენი არანაკლებ შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იხ. სქემა). ამ მხრივ აღსანიშნავია სამეგრელო და ლეჩხუმი. ურივე აღვილზე პალეოგენის ქვედა ნაწილი კარბონატული ფაციესით არის შარმოდგენილი. მეფერტის მიხედვით ზედა ცარცის კირქვები აქ თან-

### სამართლებოს პალეოლიტის სტრატიგრაფიული სხეული

სტრატიგრაფიული ერთეულები	ტფილისის მიღამოები	ახალციხე	ლექსუმი და სამეგრელო
შუა მიოცენი	ჩოკრაკული ჰორიზონი.	ხარვეზი	ჩოკრაკული ჰორიზონი.
ქვედა მიოცენი	ხარვეზი	ხარვეზი	ხარვეზი
ზედა ოლიგოცენი	მუქი ნაცრის ფერი	ყორბულებიანი ქანები=ცირენებიანი ქვიშაქვები	თიხები Clupea-თი
შუა ოლიგოცენი	თიხები Clupea-თი	ყურათუბნის ჰორიზონტი	თიხები Nummulites Bouillei-თი
ქვედა ოლიგოცენი		ქვიშაქვები N. Bouillei-და თაბაშირიანი თიხები Clupea-თი	თიხები Natica, Nucula, Planorbella-თი
ზედა ეოცენი	თაბაშირიანი ქვიშაქვები და თიხები Clupea და მოლუსკებით	თიხები და ქვიშაქვები Nummulites Discocyclina და სხვ	ხარვეზი
ქვედა ეოცენი	თაბაშირიანი თიხები, ქვიშაქვები და ტუფოგენი ქვიშაქვები ნუმულიტებით და სხვ.	ხარვეზი	ზედა ფორამინიფერანი მერგელები და აღვის კირქვები
შუა ეოცენის ქვედა ქვე-სართული	ტუფოგენი წყება დისკოციკლინებით და ნუმულიტებით	ტუფოგენი წყება	მერგელები Lyrolepis-თი ქვედა ფორამინიფერანი მერგელები Nummulites
შუა ეოცენის ქვედა ქვე-სართული	აბისის ნუმულიტიანი შრები დისკოციკლინებით და ნუმულიტებით	ფლიში	ნუმულიტიანი და დისკოციკლინიანი თეთრი კირქვები, კირქვები Echinidea და Terebratula თი
ქვედა ეოცენი	?	?	ხარვეზი?
ზედა ცარცი	კირქვები	კირქვები Bel. mucronata	

ზმობით გაადდის მესამეულში. სამეცნიეროში ჯედა ცარცის კირქვები (Belemnitella cf. mucronata) ნუმულიტიანი კირქვებისაგან ბრაქიოპლაინი ჰორიზონტი ჰყოფს. ამ ჰორიზონტის ჰასაკი ჯერჯერობით გაურჩეველია. აბითის შემდეგ ლეჩხუმის ნუმულიტიან კირქვებს შუა ეოცენად ათარი ღებენ. ეკის მთაზე და ურთაზე ნუმულიტებს შორის საქმაოდ ბლობმაღ გვხვდება *N. Murchisoni*; ხოლო მეფერტს მესამეულის ქვედა ნაწილში ჰალეოცენიც აქვს გამოყოფილი.

ნუმულიტიან კირქვებს სამეგრელოში ე. წ. ქვედა ფორმამენიფერიანი მერგელები მოსდევს. სოფ. ხეთასთან, ამ მერგელების სულ ქვედა ნაწილში, პატარა ტანის ნუმულიტები (*N. Murchisoni*-ს ტიპის) აღმოჩნდა. სამეგრელოში ნუმულიტიანი კირქვები ზედა ნაწილში ფაციალურ ცვალებადობას განიცდის. სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში (ნაქალაქვევი), კირქვებში, ნუმულიტების ნაცვლად ზღვის ზღარბებია წარმოდგენილი; ზღარბებიან კირქვებს შორის კი მერგელები მორიგეობს. ლექსეუმში ნუმულიტიან კირქვებს თევზიანი მერგელები (*Lyrolepis caucasica*-თი) ფარავს. ლიროლეპისიანი ჰორიზონტი დასავლეთ საქართველოში (ლექსეუმი, სამეგრელო და თეხაზეთი) ფართედ არის განვითარებული. წყება ფაუნით ჰარიბია; ჭვედება თითქმის მხოლოდ თევზის ქერცლები. გარდა *Lyrolepis* -ისა აღსანიშნავია ისეთი ქერცლები, რომელიც ტფილისის მიდამოებში ტუფოგენი წყებაში მოიძოვება. ანალოგიური ნალექები ფართედ უნდა იყოს წარმოდგენილი თრიალეთის ქედზე (ინ. ი. პ. გამყრელ იძე, პროფ. ს. კუზნეცოვი) (30) ძამის მიდამოებში და ატენის ხეობაში. მართალია აქ *Lyrolepis* ჯერ ცნობილი არ არის; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს თევზი ძლიერ იშვიათია აგრეთვე დასავლეთ საქართველოშიც. ჩრდილო-კავკასიაში ლიროლეპისიანი მერგელები დიდ ხანია ზედა ეოცენად არის აღიარებული. დასავლეთ საქართველოში კი ეცეც რტი მათ შუა ეოცენად სთვლის. ზოგიერთებისათვის ეს ჰორიზონტი გარკვეული სტრატიგრაფიული ერთეულია და ზედა ან შუა ეოცენს უნდა მიეკუთვნოს. ისმის საკითხი ლიროლეპისიანი მერგელები მართლა გარკვეული სტრატიგრაფიული ერთეულია, თუ ფაციალური ნალექები. ატენის ხეობაში ს. კუზნეცოვის მიხედვით „ლიროლეპისინი შრეების ეკვივალენტი“ ზედა ეოცენის ნუმულიტიან ქანებს მოსდევს. პ. გამყრელიძის მიხედვით ანალოგიური თევზიანი შრეები ზედა ეოცენის ნუმულიტიან ქანებში მორიგეობს და უკანასკელთ ქვეშა უძევს ძამის მიდამოებში. ფუძედ კი ტუფოგენი წყება აქვთ. ტფილისის მიდამოებში, როგორც ვიცით, ისინი შუა ეოცენის ტუფოგენ წყებაში არის მოთავსებული. ჩვენის აზრით არ შეიძლება მათი ნაგოლურის შრეებთან დაკავშირება, რადგან მათ შორის ვერც ლითოლოგიურს და ვერც ფაუნისტურ მზგავსებას ვერ ვპოულობთ. ამრიგად ზემოდ ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ლიროლეპისიანი შრეები ფაციალურ ნალექებს

უნდა წარმოადგენდეს. ამ მხრივ საგულისხმოა გლესნერის ანალო-  
გიური შეხედულება (57) ჩრდილო-კავკასიის ლიროლეპისიანი მერგელე-  
ბის შესახებ.

ამრიგად პალეოგენი, როგორც ეს ძველი დართულ სქემიდან გარკვეულად ჩანს, საქართველოში წარმოდგენილია ორი ფაციესით. ერთს — ანტიკავკასიონის გეოსინკლინურ ზოლში მოთავსებულს კლასტიური და ვულკანოგენი ქანები, ახასიათებს, ხოლო კავკასიონის გეოსინკლინის მახლობლად მდებარე მეორე ფაციესში კარბონატული ქანებია გაბატონებული. ეს მდგომარეობა ამ ორ ზოლს შორის ოლიგოცენიამდე უცვლელი აჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტფილისის მიღამოების შუა ეოცენში მერგელებრივ კირქვების არსებობას. შემდევ საქართველოს სამივა აღნიშნულ კუთხეში რამდენიმე ხნის განმავლობაში ერთფეროვანი რეჟიმი მყარდება. ოლიგოცენის აუზში თითქმის ყველგან მუქი ნაცრისფერი თაბაშირიანი თიხები იღებება.

პალეოგენის საქართველოში ზევიდან ჩეცულებრივ ტრანსგრესიული ჩიკვრაჟი საზღვრავს. ბოლო ხანებში თანდათან გროვდება მასალა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ეოცენის ტრანსგრესიის მაჩვენებლად. თუ აბიცის გეოლოგიურ რუკას დავეყრდნობთ, ტფილისის მიდამოებშიაც ეოცენი ზედა ცარცს უთანხმოდ უნდა ედოს.

ჩენ შეგნებულად გვერდი ავუარეთ ფლიშის საკითხს, რადგან  
ფლიში ზემოთ დასახელებულ რაიონებში წარმოდგენილი არ არის და  
განსაკუთრებით იმიტომ, რომ პირადად მისი შესწავლა ველზე არსაღ  
არ გვიწარმება.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

## GENUS NUMMULITES.

## NUMMULITES IRREGULARIS Desh.

ଓঁৰ. I, সংখ্যা. 4.

1883. *Nummulites irregularis* de la Harpe, Nummulites de la Suisse p. 154-158, pl. IV, fig. 16-34, pl. V, fig. 1-2. (24)

1883. " *subirregularis* ibidem p. 158-159, pl. V, fig. 3-14.

1911. " *irregularis* Boussac, Études paléont. sur le nummulit. alpin. Pl. I, fig. 15-16. (11)

1931. " " Rozloznik, Studien über Nummulinen p. 130—141. (43).

*Nummulites irregularis* მეტად თავისებური აღნაგობისაა და ამის-  
თვის მისი განსაზღვრა ღიღ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ტფილისის მიღამოების ტუფბრექჩიების ლოდვებში ეს სახე საკმარისო გლობულით მოიპოვება. კირქვა, რომელშიაც ეს ფორმებია მოთავსებული, ძლიერ მცვრივია და ამიტომ ზეუძლებელია ქანებიდან დაუზიანებლად ნიმუშების ამოღება; მაგრამ კირქვის ზედაპირზე მოცემულია ნაჭუჭების ეპვარორული განაკვეთი და იშვიათად ნაჭუჭის ზედაპირიც. აქ სახის ტიპიური ფორმა არის წარმოდგენილი. ნიჟარა ბრტყელია. ზედაპირი რადიალური, ლათინური S ასოს მაგვარი ხაზებით დაფარული. ხაზები ცენტრიდან გამოდის. ხვეულები სწორი და ჩვეულებრივ მაღალია. სპირალური ფირფიტი თხელი, ტიხები ხშირი და თანაბარი სისქის, მხოლოდ ზედა ნაწილში რამოდენიმედ წაწვრილებული. ტიხები ძირიდანვე მოხრილია. მოხრილობა ტიხების შუა ნაწილიდან უფრო შესამჩნევია. კამერები მაღალი და ნამგლისებური. ყველაფერი ისე, როგორც ტიპში. აქვე უნდა აღინიშნის, რომ *N. irregularis* გვხვდება აგრეთვე მოსაზღვრე სომხეთშიაც.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა. თელეთის ქედის ჩრდილო ფერდი, ხევი შავნაბადისაკენ მიმავალ ბილიკთან.

#### NUMMULITES MURCHISONI Brun.

ტაბ. I, სურ. 1 — 3.

1850. *Nummulites Murchisoni*, Brunner in Büttmeyer, Über dass schweizerische Nummulitenterrain, p. 96, pl. IV, fig. 52, 54, 55 (46).  
 1853. " " d'Archiac et Haime, Monographie des Nummulites, p. 138, pl. VIII, fig. 20-24 (5)  
 1883. " " de la Harpe, Nummulites de la Suisse... p. 150-152, pl. IV, fig. 3-8 (24).  
 1883. " Heeri de la Harpe, ibidem, p. 152-153, pl. IV, fig. 9-15.  
 1911. " Murchisoni, Boussac, Études paléontologiques sur le nummulitique alpin, p. 23-25, pl. IV, fig. 6.  
 1931. " " Ренгартен, Орбитоиды и нуммулиты южного склона Кавказа, стр. 26, таб. III, фиг. 10-12.

*N. irregularis* გვერდით კირქვების ნატეხებში მოიპოვება *N. Murchisoni*-იც.

ეს ნუმულიტი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ ჰგავს *N. irregularis*-ს, ბუსაჭის მიხედვით მაინც აღვილად გამოსაცნობია, თუ მხედველობაში სპირალის ფირფიტის სისქეს მივიღებთ. *Nummulites Murchisoni*-ს ძლიერ თხელი სპირალური ფირფიტები ახასიათებს.

ფორმა ბრტყელია. ზოგჯერ უკანასკნელი და იშვიათ შემთხვევაში უკანასკნელის წინა ხვეულიც ზედაპირზე მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდ არის გამოსახული. ხაზები ზედაპირზე რადიალურია და ჩაღივით მოხრილი. ხვეულებს სწრაფი ზრდა ახასიათებს. სპირალური ფირფიტი ძლიერ თხელია, ტიხები ხშირი, ძირიდანვე მოხრილი. კამერები 5—6-ჯერ მაღალი, ვიდრე განიერი. სიდიდით და რამოდენიმედ ხვეულების სიმაღლით ჩვენი ფორმა *N. Murchisoni* var. *minor* ს ემსგავსება. ასეთია ფორმები, რომლებიც შავნაბადასთან ტუფბრექჩიებში მოყოლილ ნუმულიტიან და დისკოკლინიან კირქვებშია აღმოჩენილი. კირქვის ზედაპირზე ნიმუშის ორი გადარეცხილი ზედაპირი ემჩნევა. ერთ ნიმუშზე ტიხებიცა და ხვეულების ფირფიტებიც კარგად არის გამოსახული. *N. Murchisoni* var. *minor*, თუმცა ძლიერ იშვიათად, ტუფქვიშაქვებშიც მოიპოვება.

*N. Murchisoni* საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული, ის ბევრია ლეჩებუმში, სამეგრელოში და უკანასკნელად დუშეთის მიდამობიდნაც არის აღწერილი რენგარტენის მიერ (42). დუშეთის ფორმა ტიპისაგან ძლიერ დაცილებული ჩანს.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა: თელეთის ქედი, ტუფბრექჩიებში მოყოლილ ლოდვებში; ასურეთის მიდამოები ტუფქვიშაქვებში.

#### NUMMULITES BOUILLEI de la Harpe

ტაბ. I, სურ. 5-10

1879. *Nummulites Bouillei*, de la Harpe, Nummulites zone supérieure de Biarritz p. 142-143, pl. I, I fig. 1-3 (22).  
 1879. " " *Tournoueri*, de la Harpe, ibidem, p. 143-145, pl. I, II fig. 1-7.  
 1883. " *Bouillei*, de la Harpe, Nummulites de la Suisse, p. 155-166, pl. VI, fig. 1-4 (24).  
 1883. " *Tournoueri*, de la Harpe, ibidem, p. 166-167, pl. VI, fig. 12-21.  
 1911. " *Bouillei* Boussac, Nummulitique de Biarritz, p. 69-78, pl. XVII, fig. 4, 5, 6 (10).  
 1911. " " Boussac, Études paléontologiques sur le nummulitique alpin, p. 45-46, pl. V, fig. 4. (11).

როგორც ცნობილია, მაიკობის თიხები ნამარხებით ძლიერ ღარიბია. ამიტომ უკანასკნელ ხანებში ამ თიხებში აღმოჩენილ ნუმულიტებს (სე-

ნაკის რაონიდან) დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რის გამო მათ აღწერასაც აქვე ვათავსებთ. ეს ფორმა ახალსენაკის რაონის თევზიან თიხებში ბლომა-დაა ნაპოვნი, სოფ. საწულეისკიროში დაგროვილ მასალაში გამოიჩევა ორი სხვადასხვა ფორმის ნუმულიტი. ერთი — შედარებით დიდია და ბრტყელი, მეორე კი პატარა და ძლიერ ამობურცული.

ბრტყელი ფორმები	ამობურცული ფორმები
დიამეტრი განი	დიამეტრი განი
5 mm 1 mm	3 mm 1,5 mm
4 " 0,5 mm	3 " 1,8 "
4,5 " 1 "	2,5 " 1 "
	2 " 0,7 "

როგორც გაზომვებიდან ჩანს, დიდი ფორმები ბრტყელია. ”უკანას-კნელი ხვეული ზედაპირზე ნაჭუჭის დანარჩენი ნაწილისაგან ღარით გამოიყოფა. ფორმა გარეგნულად Operculina-ს მოგვავონებს. ზედაპირი დაფარულია რადიალური ხაზებით. ხშირად ხაზები ნაჭუჭის მხოლოდ პერიფერიაზე არის გარკვეულად გამოსახული. ღართან ხაზები სწყდება. ზოგიერთ ნიმუშების ხაზები ზოგან ოდნავ გამსხვილებულია. ცენტრში ხშირად ნაჭუჭი ჩაზიაქილია. პატარა ფორმები ამობურული და ხშირად ღილისებური გამსხვილებაც ემჩნევა. ცენტრიდან გამომავალი ტიხრის ხაზები სწორია. გარეგნულად პატარა ფორმებიც Operculina-ს ჰგავს. ამორ უკიდურეს ფორმების გვერდით გარდამავალი ნიმუშებიც მოიპოვება.

ნაჭუბის შინაგანი აღნავობა უმეტეს შემთხვევაში უცნობია, რადგან შინაგანი ხვეულები და ტიხეები დიაგნოსტური პროცესების გავლენით გახსნილია, და სიღრუე პირიტის წვრილი მარცვლებით ამოვცებულია. იშვიათ შემთხვევაში პრტყელი ფორმების ეკვატორულ განაკვეთზე სამი ხვეული ექმნება. სპირალური ფირფატი თხელია. ტიხეები დასაწყისში სწორი, ხვეულებისადმი პერპენდიკულარული, ზედა ნაწილში კი ძლიერ მოხრილი და წაწვრილებულია. ეს უკანასკნელი ნიშანი *N. Bouillei*-სა-თვის განსაკუთრებით დამახსიათებელია.

პატარა ფორმები გარევნობით ძლიერ მოგვაგონებს N. Chavannes-i-ს. de la Harpe-ი პირველად მას *N. Bouillei*-ში ათავსებდა. ავტორს ამ ორი ფორმიდან ზუსტათ დახასიათებული აქვს მხოლოდ უკანასკნელი. საწულეისკირიოს ბრტყელი ფორმები ტიპს საგეგმით ემზადება. მასალაში ნუმულიტების რიცხვი თამოდენიმე ასეულს უდრის. დიდი ფორმებიდან არც ერთი არ ჰგავს N. Chavannes-i-ს, ამობურცული მხოლოდ პატარა ნიმუშებია. საშუალო ტანის ნაკუჭები სიღილითაც და ფორმითაც გარდამავალ ნიმუშებს წარმოადგენს. ამ ორ უკიდურეს ფორმათა შორის — დიდი ნაკუჭები ბრტყელია. საერთოდ ცნობილია, რომ ფორმის გაბრტყელება მორცოლოვიურ სხვა ელემენტების უცვლელობასთან ერთად ნუმულიტების ჰასაკის მაჩგრებლით. არის შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდა ფორმები ამობურცულია და ზრდასთან დაკავშირებით თანდათან გაბრტყელებული, მაგრამ ამ შემთხვევაში აռსანიშნავია, რომ

*N. Bouillei*-სთვის პატარა ფორმები მეტისმეტად ამონტულუად გამოიყურება. ახალი მასალის დაგროვებამდი, როცა შესაძლებელი იქნება ნაკუჭებში შინაგანი აღნაგობის შესწავლაც, ჩვენ საწულეისკირიოს ყველა ფორმებს ერთ სახეში ვათვავებთ.

გარდა საწულეისკირიოსა, N. Bouillei აგრეთვე აღმოჩენილია ახალ-  
ციხეში, თევზიანი თიხების მომდევნო ქვიშაქვებში.

**NUMMULITES** n. sp.

ՕօԾ. I, Աղմ. 23—24

სოლანლულის მიღამოების მოყვითალო ფერის თხელშრიან წვრილ-მარცვლოვან ქვიშაქვეგბში *Operculina ammonaea*-სთან ერთად პატარა ტანის ნუმულიტებიც მოიპოვება. წარმოდგენილია მეგასფერული ფორმები. ეს გარემოება მეტად აძნელებს სხის ზუსტ შესწავლას. ნაჭუჭის დია-მეტრი 2,5 mm არ აღემატება. ფორმა ამობურცულია. ნაბირი გაბრტყელებულია მჭრელად, ან ზოგიერთ ნიმუშზე მორგვალებულია. ზედაპირი ხშირი ხაზებითა დაფარული და ხაზებიც ცენტრიდან გამოდის. კვერცხი ხშირი ხაზებითა დაფარული და ხაზებიც ცენტრიდან გამოდის. კვერცხი ხშირი ხაზებითა დაფარული და ხაზებიც ცენტრიდან გამოდის. კვერცხი ხშირი ხაზებითა დაფარული და ხაზებიც ცენტრიდან გამოდის.

აქ აღწერილი სოლანლულის ფორმები რამდენიმედ *N. irregularis*-ს  
მოგვაგონებს, მხოლოდ უკანასკნელისათვის ხვეულების სწრაფი ზრდაა  
დამახასიათებელი. შორეული მსგავსება არსებობს აგრეთვე სოლანლულის  
ფორმასა და *N. variolarius*-ს შორის, მხოლოდ პირველში ტიხერები გა-  
ცილებით უფრო ძლიერ არის მოხრილი, ვიდრე მეორეში. ჩვენის აზრით,  
სოლანლულის ნიმუშები ახალ სახეს წარმოადგენს. მიკროსფერების აღმო-  
ჩენამდე, რომლებიც ფორმს ონტოგენეტურ განვითარების სრულ სახეს  
მოგვიყენს, მას უსახელოდ ვსტოვებ.

ს ა დ ა უ რ ო ბ ა : სოლანლულის მიღამოები, მარინეს ეკლესიის ნან-  
გრევებთან, ხევის მარჯვენა ნაპირზე, წყაროს ქვემოთ.

## NUMMULITETS GLOBULUS Lem.

օօօ. I, Այդ. 12—14

1846. *Nummulites globulus*, Leymeri, Mémoire sur le terrain à Nummulites des Corbières et de la Montagne Noire, p. 359, pl. XIII, fig. 14 a-d (32).  
 1911. " " Boussac, Études paléontologiques sur le nummulitique alpin, p. 26-27 (11).  
 1929. " " Rozloznik, Studien über Nummulinen, p. 100-103, Taf. III, Fig. 32 u. 36. (43).

Leymerie-b ამ სახელით აღწერილი აქვს ფორმა, რომლის  
დიამეტრი 3—4 mm უდრის, და სისქე 2—3 mm არ აღემატება. გა-

რეგნობით ის *N. atacicus*-ს წააგავს და ნალექებში მასთან ერთად გვხდება. ეს მოკლე დიაგნოზი სახის გარკვევის საშუალებას თითქმის სრულიად არ იძლევა. ამიტომ, სახის განსაზღვრა ხშირად გაუგებრობას იწვევდა ხოლმე. 1853 წელს d' Archiac-ს ეს სახე თავის N. Ramondi (Defr.)-ის სინონიმიაში აქვს შეტანილი.

როცლოცნიკი (43) *N. globulus*-ში სამ სახესხვაობას არჩევს ა, β და γ. უკანასკნელი სახესხვაობა ტიხრების ფორმის მიხედვით პირველი ორისაგან ძლიერ განსხვავდება. სახესხვაობას ძირში გასქელებული და მოხრილი ტიხრები აქვს. ტიპს კი ავტორის მიხედვით სწორი ტიხრები ახასიათებს.

ღოუბნის ფორმების დიამეტრი 4 mm-დე არის. სისქე კი 2 mm უდრის. მეგასფერული ფორმების დიამეტრი 3 mm-ს არ აღემატება. არის, როგორც ამობურცული, ისე რამდენადმე გაბრტყელებული ფორმები. ზედაპირი დაფარულია ხაზებით, რომლებიც ახალგაზრდა ფორმებში სწორია, დიდი ფორმებში კი გაღუნული. ხაზები ზოგ ნიმუშები გასქელებულია. ხევულების ზრდა ნელია. სპირალური ფირფიტი ჩატარებული სქელია და ხშირი. ტიხრები გამოყოფს უფრო მაღალ კამერებს, ვიდრე განიერს. ტიხრები ძირში გასქელებულია. მეგასფერებში არის ფორმები, რომლებშიაც სპირალის ფირფიტი ძლიერ სქელია. ამ ფორმებში ტიხრები თითქმის სწორია და ძირში გასქელება არც კი ემჩნევა. ღოუბნის ნიმუშები როცლოცნის სახესხვაობას და ბუსტის ფორმას სავსებით ემთხვევა.

სადაც რობა: ძველი ღოუბნის მიღამები, ღოუბნის ხევის მარცხენა ნაპირი, ერთისისაკენ მიმავალი გზის პირას.

#### NUMMULITES ATACICUS (Leym.) Rozl.

ტაბ. I, სურ. 15—17.

1946. *Nummulites atacicus*, Leimerie, Mémoire sur le terrain à Nummulites des Corbières p. 358-359, pl. 13, fig. 13 a-e, (32).

1929. " " Rozloznik, Studien über Nummulinen, p. 108-110. Taf. III, Fig. 1, 5 u. 11; Taf. V, Fig. 4; Taf. VII, Fig. 1 u. 3 (43).

ეს სახეც მოკლედ აქვს დახსიათებული ავტორს. ბუსა კი ს მიხედვით სახისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მოხრილი და ძირში გასქელებული ტიხრები. ამ ნიშნით ეს ფორმა მკვეთრად განსხვავდება *N. striatus*-საგან. უკანასკნელს ერთგვარი სისქის და სწორი ტიხრები აქვს, რომლებიც ზედა ნაწილში შეიძლება მოხრილი იყოს.

უკანასკნელად როცლოცნიკი (43) სახის სულ სხვა, განმარტებას იძლევა. მისი აზრით *N. atacicus*-თვის დამახასიათებელია არა მოხრილი და ძირში გასქელებული, არამედ სწორი და შედარებით ერთი სისქის ტიხრები. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ტიხრების ძირში დეზისე-

ჭური წანაზარდები ემჩნევა. ძირში გასქელებული ტიხრები ავტორის აზრით დამახასიათებელია და ისიც შინაგან ხელულებში ეგვიპტის პალეოცენურ ნალექებიდან აღწერილ *N. biarritzensis (atacicus)* var. *prae-cursor*-ისათვის (43). დიდი ხნის განმავლობაში ამ სახის მეგასფერულ ფორმათ ითვლებოდა, შეცდომით, *N. Guettardi*. *N. atacicus*-ის მეგასფერული ფორმა *N. subatacicus*-ის სახელით აღწერა Dauville-მ 1919 წ.

როგორც დავინახავთ, ტფილისის მიღამებში ამ სახის ორივე გენერაცია არის წარმოდგენილი და ორივე გენერაცია როცლოცნიკის მიერ სამხრეთ აღბანის შუა ეოცენიდან აღწერილ *N. atacicus* ემთხვევა. ტფილისის ფორმები ლინზისებურია, ცენტრისაკენ სწორად ავტობურცული, ბერიფერიულ ნაწილში კი ბრტყელი. ასე რომ ნაპირი ძლიერ გაბრტყელებული სხანს. ნაკუჭის დიამეტრი 14 mm-დე აღწევს. ზედაპირი დაფარულია დაკლაკნილ ხაზებით. ზოგ ადგილს ხაზებს შეინტრულად განლაგების ტენდენცია ემჩნევა. ისე, როგორც ეს ტიპისათვის დამახასიათებელი არის. ხაზებზე ტრანსვერსალური ტრაბეგულებია განვითარებული. ხევულებს სწორი და თანდათანი ზრდა ახასიათებს. უკანასკნელი სამი-ოთხი ხევული თანაბარი სიმაღლისა და წინა ხევულებთან შედარებით უფრო დაბალია. სპირალური ფირფიტის სისქე ხევულების სიმაღლის ნახევრამდე აღწევს. ტიხრები ერთიმეტორისაგან თანაბარი მანძილით არის დაშორებული.. ტიხრები მოხრილია. მოხრა ძირში ან შუა ნაწილიდან იწყება. კამერები უფრო მაღალია, ვიდრე განიერი. ტიხრებს ძირში გამსხვილება ღინავ ემჩნევა, მაგრამ არა ყოველგან. ღოუბნის ფორმები როცლოცნიკის მიერ აღწერილი *Nummulites atacicus* უფრო უახლოვდება, ვიდრე ტრაბეგულ ფორმას. ანალოგიური ნიმუშები კობის მონასტრის მიღამებშიაც მოიპოვება.

რენგარტენმა (42) დუშეთის მიღამებიდან *N. atacicus*-ის რამდენიმე ახალი სახესხვაობა აღწერა ტიპიურ (ავტორის აზრით) *N. atacicus* var. *atacica*-ს გვერდით. *N. atacicus*-ს მიეკუთვნება მხოლოდ *var. atacica* და *var. georgiensis*. დანარჩენი *var. aragvaensis* და *var. nova-indet.* ტიპიდან ძლიერ შორს არიან. *N. atacicus* var. *aragvaensis*-ს გაშლილი ხელულები აქვს, ამასთან დაკავშირებით კი ტიხრები გრძელი და ძლიერ მოხრილია. ამიტომ ამ სახესხვაობის მოთავსება *N. atacicus*-ში საეჭვოა. *N. atacicus* var. *nov. ind.* ძლიერ მოკლედ არის აღწერილი და სურათიც ბუნდოვანია და ამიტომ ძნელია მის შესახებ თქვას რამე გარემოები. საერთოდ აღსანიშავია, რომ ავტორი ძირში რამდენიმედ გამსხვილებულ ტიხრებს სთვლის თავის *N. atacicus* var. *atacica*-სთვის დამახასიათებლად, მაგრამ სურათზე ეს გარემოება გარკვეულად არ ჩანს. ამიტომ ჩვენ ტფილისისა და დუშეთის ფორმების ურთიერთშორის დამყიდებულებაზე გადაჭრილად ვერაფერს ვიტყვით.

მისივე *N. atacicus* უნდა მიეკუნოს ღუშეთის *N. globulus* (42 p. 27). ავტორის მიერ მოყვინილი განსხვავებანი: 1. ცენტრული კამერის ნაკლები დამეტრი (*N. globulus*-ში 200 და *N. atacicus*-ში საშუალოდ 300) და 2. ხევულების მეტი რაოდენობა რადიუსის ერთეულზე (*N. globulus*-ისათვის 1 mm-ზე 3,5—4, მე-2 mm-ზე 6 და *N. atacicus*-ისათვის 1 mm. 3—3,5 და მე-2 mm-ზე 5), რასაკვირველია გადამწყვეტ მომენტიდ ვერ ჩაითვლება. ამის შემდეგ სრულიად გასაგებია ავტორის სიტყვები, რომ *N. atacicus*-ის *N. globulus* იდან გარჩევა მეძნელებათ.

შორს დგას ტფილისის ფორმიდან დარალაგეზიდან (სომხეთი) მე-ფერტის (35) მიერ აღწერილი *N. atacicus*, რომელსაც ავტორის მიხედვით ძირში გასქელებული ტიხერები ახასიათებს. მახლობელ აღილებიდან, გოგჩიდან (სომხეთი) ს. კუზნეცოვი აგვიწერს *N. atacicus* var. *biarritzensis*-ს, *N. atacicus* var. *Guettardi* d'Arch-ს და *N. atacicus* var. *Guettardi* (d'Arch) de la Harpe-ს. აღსანიშნავია, რომ არცერთ აქ დასახელებულ ფორმებს ძირში გასქელებული ტიხერები არა აქვთ. პირველი, პირიქით, როგორც ავტორი შენიშნავს, ძირში წაწვრილებული ტიხერებით ხასიათდება. გაუგებრობის თავიდან ასაკილებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ დასახელებული გარიცავები გარდა *N. Guettardi*-სა (უკანასკნელი, როგორც ვიცით *N. globulus*-ის მეგასფერული ფორმა) *N. atacicus*-ში შედის (იხ. Boussac 11). ამ ფორმების *N. atacicus*-თ მონათვლა ამ სახის როცლოცნიკის გაებით თუ იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი.

#### NUMMULITES ATACICUS VAR. STRIATIFORMIS N. VAR.

ტაბ. I. სურ. 18—22.

ფუნიკულიორის ქვედა სადგურის მახლობლად ტუფბრექჩიებში მოიპოვება უხორულო, საშუალო სიდიდის ნუმულიტები, რომელთა დიამეტრია არა უმეტეს 9 mm-საა.

დიამეტრი	განი
7,5 mm.	2,4 mm
7 "	2,5 "
7 "	2,3 "
8 "	2,4 "
9 "	4 "
5,5 "	3 "

ნაჭუჭი დისკოსებურია, შუაში ამობურული. პერიფერიებისაკენ გაბრტყელებული. ზედაპირი დაფარულია ხაზებით, რომლებიც პერიფერიულ ნაწილში სწორია, ცნოტრისაკენ კი გაღუნული. ხაზები ცენტრთან რიულ ნაწილში სწორია, ცნოტრისაკენ კი გაღუნული. ხაზები ცენტრთან განშტოებულია. ხაზებზე ტრანსვერსალური ტრანსველებია განვითარებული. შინაგან ხევულებში ხაზები თანდათან სწორი ხდება და ყველა

თვეს იყრის ცენტრის გარევეულ წერტილში, სადაც გარევეულად ემჩნევა ხორკლისებური გამსხვილება. ხევულების რიცხვი 9-მდე აღწევს. შეფარდება ხევულების რიცხვსა და ნაჭუჭის რადიუსს შორის უდრის 8—9  
3,5—4,5

დასაწყისში ხევულები დაბალია, მესამე-მეოთე ხევულიდან მაღალი ხევულები იწყება. ხევულებს ნელი ზრდა ახასიათებს. სპირალის ფირფიტის სისქე კამერების სიმაღლეზე გაცილებით ნაკლებია. არს ფორმები, რომლებშიაც სპირალის ფირფიტის სისქე კამერების სიმაღლის ნახვარს უდრის. დასაწყისი ხევულები ზოგიერთ ნიმუშებში თხელია, შემდეგი ხევულები კი — სქელი. ტიხერები წვრილი, რამდენადმე მოხრილი. ზოგიერთ ნიმუშებში საკმაოდ მოხრილიც. კამერები მაღალი. უკანა ზედა კუთხე რამდენადმე წაგრძელებულია, მაგრამ არა ძლიერ. მამადავითის ფორმები ძლიერ მოგვაგონებს ლოუბნის ზემოთ აღწერილ *N. atacicus*-ს შხოლოდ უფრო პატარაა, ხაზებიც ზედაპირზე ნაკლებ დაკლაკნილია და ხევულებს პერიფერიულ ნაწილში დადაბლება არც კი ეტყობა. მამადავითის ნიმუშების აღნიშნული თავისებურებანი არც კი იქნებოდა მხედველობაში მისაღები, რომ ისინი ლოუბნის *N. atacicus*-ის გვერდით გვხდებოდეს. მაშინ ზემოდ ჩამოთვლილ განსხვავებას *N. atacicus*-ს ონტოგნეტური განვითარების ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელ ნიშნებად ჩავთვლიდთ. სამწუხაროდ, ლოუბნის *N. atacicus*-ის მხოლოდ ორივე ეგზომპლარი მოგვეპოვება. ახალგაზრდა ფორმები იქ ჯერ პოვნილი არ არის. მართლა, მამადავითის შრეები შუა ეოცენად გვაქვს დათარიღებული, მაგრამ ისინი სტრატიგრაფიულად ლოუბნის ნალექებთან შედარებით უფრო მაღლაა და ამიტომ მამადავითის ფორმები ცალკე სახესხვაობად გვაქვს გამოყოფილი.

როცლოცნიკის (43) აოშერილი აქვს *N. striatus rasse pannonica*, რომელიც რამდენიმედ მამადავითის ფორმებს მოგვაგონებს. ავტორი პანონურ რასაში რამდენიმე სახესხვაობას არჩევს. საერთოდ მათი სიდიდე 11 mm არ აღემატება და 3,5—11 mm შუა ქანაობს. შეფარდება ხევულების რიცხვსა და ნაჭუჭის რადიუსს შორის უდრის 9—11  
3,5—4,5

ასე რომ პანონურ *N. striatus*-ს მამადავითის ფორმებთან შედარებით აქვს რამდენადმე დაბალი ხევულები. ტიხერები მოხრილია. ამიტომ კამერების ზედა უკანა კუთხე ოდნავ წაგრძელებული და მომრგვალებულია. ამ ნიშნით ეს ფორმები ტიპური *N. striatus*-იდან საკმაოდ განსხვავდება (როგორც ამას თვით ავტორი აღნიშნავს) და მამადავითის ფორმებს უხსელოვდება. როგორც ვიცით *N. striatus*-სა და *N. atacicus*-ის განსხვავებებს თვისებად ორი რამ არის აღიარებული: 1—ტიხერების მოხრილობა, მე-2—ტიხერების ძირში გასქელება. როცლოცნიკის მიხედვით *N. striatus*-ს ეს უკანასკნელი ნიშანი არც კი ახასიათებს, 1-ლი ნიშნით *N. striatus rasse pannonica* და მამადავითის ფორმები *N. atacicus* Roz.-გან ძნელი

გასარჩევია. აღსანიშნავია ჩვენს ნიმუშებსა და *N. Rosai* (*N. incrassatus*) შორის დიდი მსგავსება. მამადავითის ფორმები უკანასკნელისაგან ხაზების განწყობით განიჩევა. როგორ *R. Douvillé* (18) აღნიშნავს *N. Rosai*-ს ხაზები ცენტრიდან გამოდის rayonnant toujours exactement du centre (იხ. მისი მეორე ტაბულის ახსნა 17). ამასვე იმეორებს ბუსაკიც.

მამადავითის ფორმებში ხაზები ცენტრულ ნაწილში განწყობებულია ეს გარემოება *N. incrassatus*-ისათვის აღნიშნული არ არის. ამ თვისებით ჩვენი ფორმა *N. atacicus* და *N. striatus* უახლოვდება.

*N. striatus* და *N. Rosai* (*N. incrassatus*) ძლიერ ახლობელი ფორმებია, რომლების ერთომეორესაგან გარჩევა ნუმულიტების ცვალებადობის პირობებში ძლიერ ძნელია. ამის დასადასტურებლად მოგვყავს როცლოცნიკის შენიშვა (43 p.—128), რომ ბუსაკის მეტ მოყვანილი *N. striatus*-ი (10, Taf. VI, fig. 2—3 და 5—8) *N. incrassatus*-ს ამ მის მსგავს ფორმას წარმოადგენს.

ჩვენი შეხედულებით მამადავითის ნიმუშები *N. atacicus* -იდან *N. incrassatus*-ში გარდამავალი ფორმაა და აძირობ ის *N. atacicus*-ის ახალ სახესხვაობად გვაქვს გამოყოფილი.

#### NUMMULITES AFF. NITIDUS de la Harpe

ტაბ. I, სურ 11.

1883. *Nummulites nitidus*, de la Harpe, Étude des Nummulites de la Suisse, Taf. V, Fig. 35 37 (24).  
1929. " Rozloznik, Studien über Nummulinen, p. 155—157, Taf. I, Fig. 9, 15, 21 u. 22 (43).

ზომები:

დიამეტრი 4,5 mm განი 2,2 mm

ხვეულიების რიცხვი 4 რადიუსი 2,3 mm

ტიხრების რიცხვი:

მე-4 ხვეულის  $\frac{1}{4}$  ში 7 და მე 3 ხვეულის  $\frac{1}{4}$ -ში 6

ჩვენს მასალაში ამ სახის მხოლოდ ერთი ექვემდებრი მოიპოვება. როგორც გაზომეიდან ჩანს, ნაჭუჭი ბრტყელია. ზედაპირი მისი დაფარულია რადიალური ხაზებით. ხვეულებს სწრაფი ზრდა ახასიათებს, რომელთა რიცხვი 4-ს უდრის, სპირალური ფირფიტი არ არის სქელი. ტიხრებთა რიცხვი 4-ს უდრის, სპირალური ფირფიტი არ არის სქელი. ტიხრები კვედა ნაწილში ხვეულებისადმი პერპენდიკულარულია, ზედა ნაწილში კი ძლიერ მოხრილი. ამიტომ კამერების ზედა უკანა კუთხე ძლიერ წილში კი ძლიერ მოხრილი. ამიტომ კამერების ზედა უკანა კუთხე ძლიერ წარმოადგენერირდება. ჩვენი ნიმუში შინაგანი აღნაგობით ძლიერ წააგავს *N. Chavannesi*-ს, *N. Bouillei*-ს და *N. nitidus* ს de la Harpe. პირველი ორი სახე ზედა ერცენში ჩნდება და როცლოცნიკის აზრით (43) *N. nitidus*-ს მუტაციებს უნდა წარმოადგენერირდება. *N. Chavannesi* მამადავითის ნიმუშებთან შედარებით ძლიერ ამობურცულია, *N. Bouillei*-საგან

განსხვავდება მოყვანილობით და ხაზების განწყობით. უკანასკნელისათვის უფრო ბრტყელი ნაჭუჭი დამახასიათებელი. *N. Bouillei*-ში ხაზები ნაჭუჭის პერიფერულ ნაწილში მოხრილია. მამადავითის ნიმუში კი სწორია. შუა ეოცენის *N. nitidus*-გან ის სიღილით რამდენიმედ განსხვავდება. როცლოცნიკის მოწმობით დასავლეთ ეკროპაზი *N. nitidus*-ს დიამეტრი 9 მმ აღწევს, და მაშინ ამ ფორმისათვის ხვეულების მეტი რიცხვია დამახასიათებელი. არის შემთხვევა რღოვსაც 3 mm რადიუსზე 6—7 ხვეულს ითვლიან, მაგრამ როცლოცნიკის (43) იქვე მოყვანილი აქვს ნიმუში, საღაც 2,2 mm რადიუსზე მოდის 5 ხვეული. ეს ნიმუში ჩვენს ფორმებს უახლოვდება, მაგრამ ეს თვისება თუ რამდენად ცვალებადია ეს იქიდანაც ჩანს, რომ გვერდით მოყვანილი არის ნაჭუჭი, რომელშიაც იმავე რადიუსზე მოდის 7 ხვეული. რადგან ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოგვეპოვება, ამიტომ მის ზუსტ განსაზღვრაზე ხელს ვიღებთ, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ შუა ეოცენის ფაუნა, რომელთანაც ეს ფორმა მოიპოვება, გვაფიქრებინებს, რომ აქ *N. nitidus*-თან ან მის მაგვარ ფორმასთან უნდა გვქონდეს საქმე. ეს ფორმა აგრეთვე ტელინის *N. operculiformis*-საც მოგვავნებს, მხოლოდ მისგან ხვეულების სიმაღლით განსხვავდება. უკანასკნელს აგრეთვე მეტად გაშლილი ხვეულები ახასიათებს.

საღაურობა: სოფ. ოქროყანა.

#### NUMMULITES SP. EX. GR. LUCASI d'Archiac

ტაბ. I, სურ. 25—26.

1929. *Nummulites Lucasii*. Douvillé, L'éocène du Béarn, p. 379, pl. XXXII, fig. 17, 17a, 18, 18a (15).  
1929. " Rozloznik. Studien über Nummulinen p. 113—114, Taf. II, Fig. 4 u. 7; Taf. VII, fig. 5. p. 188—189, Taf. III, Fig. 21 (43).

წინად ეს ფორმა სხვა სახელს ატარებდა. Rouault-მა ის *N. lenticularis* Montf. სახელით აღწერა. d'Archiac-მა იმავე ფორმას (1853 წ.). Defrance-ის ნიმუშის (in collect.) მიხედვით *N. Lucasianus* Defr. დაარქვა. სახელის შეცვლის მიზეზად ის გახდა, რომ *N. lenticularis* სახელით სხვა ფორმა იყო ცნობილი. 1911 წლამდე d'Archiac-ს ამ სახეში *N. perforatus* ის მეგასფერული ფორმა იგულისხმებოდა. Rouault-ის სახის აღდგენა ბუსაკის ეკუთვნის. ბუსაკის მიხედვით *N. Lucasianus*-ათვის დამახასიათებელია ხორკლებით დაფარული რადიალური ხაზები. ხორკლები ნაჭუჭის ცენტრში თავმოკრილი. ნაჭუჭის დამეტრი 5—6 mm უდრის. H. Douvillé (1929) გვაძლევს *N. Lucasii*-ს (-*N. Lucasianus*) აღწერას და სურათს. დუვილი სურათზე ხორკლები ზედაპირზე სპირალური არის განლაგებული. ეს ნიშანი ამ სახისათვის დამახასიათებელი არ უნდა იყოს, რადგან ბუსაკი, რომელსაც სახის აღდგენაში

დიდი ღვაწლი მიუძღვის და სახესაც გულდასმით აღწერს ამ ფორმაში ხორკლების სპირალურად განლაგებაზე არაფერს ამბობს. აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ღოუბნის მიღამოების მასალაში ერთი ნიმუში ერთი, რომელზედაც ხორკლების სპირალური განლაგება ჩანდა. სამწუხაროდ ეს ნიმუში დაიკარგა. ტფილისის მიღამოებში ამ ფორმის მხოლოდ მეგასფერებია წარმოდგენილი, რომელთა დიამეტრი 3 mm არ აღემატება და სისქე 2 mm უდრის. არის როგორც ბრტყელი, ისე ამობურცული ფორმებიც. ნაჭუჭის ზედაპირი დაფარულია რადიალური ხაზებით. ეს ხაზები მხოლოდ დიდ ფორმებშია განშტოებული. ხორკლები ყოველთვის ხაზებთან დაკავშირებულია. ჩვეულებრივ ხორკლები ნაჭუჭის ცენტრულ ნაწილშია თავმოყრილი და იშვიათად უწევს პერიფერიამდე. იშვიათ შემთხვევაში ხორკლები ხაზებს შორისაც არის მოთავსებული. ხვეულების რიცხვი მცირეა. მათ სწორი და თანაბარი ზრდა ახასიათებს. სპირალური ფირფატი სქელია, ზოგჯერ თხელიც. ტიხრები ოდნავ მოხრილი. კამერების სიგანე — ცვალებადი.

მრავალხორკლიან ნიმუშებზე ცენტრულ ნაწილში ხაზები ერთი-მეორესთან წვრილი ტოტებით არის დაკავშირებული. ჩვენი აზრით უკანასკნელი *N. lucasi*-დან *N. laevigatus*-ში გარდამავალი ფორმაა. დიდი ხანია ცნობილია, რომ ეს ორი სახე ურთიერთ შორის გრეტურად არის დაკავშირებული. *N. lucasi* რიგის დასაწყისს ქმნის. ალსანიშნავია, რომ ღოუბნის *N. lucasi* იძენება და წაგავს *N. globulus*-ს, რომ მათი ერთიმეორისაგან გარჩევა მხოლოდ ხორკლებით არის შესაძლებელი. ამ ორი ფორმის სქემა მსგავსება არა ერთხელ აღმნიშნულა ლიტერატურაში (43 p. 113).

ს ა დ ა უ რ თ ბ ა: ძველი ღოუბნის მიღამოები, ღოუბნის ხევის მარცხენა ნაპირი.

#### NUMMULITES GALLENSIS Heim Arn.

ტაბ. I, სურ. 27 — 34.

1909. *Nummulites gallensis*, Arnold Heim, Die Nummuliten-und Flischbildungen der Schweizeralpen, p. 233-239 pl. III, fig. 12-23, pl. IV et pl. V (20).

1934. " " " Rieda, Nomenclature et classification des Nummulites, p. 297-298 (6).

ბ უ ს ა კ ი *N. gallensis*-ს და *N. partschi* de la Harpe-ს ერთ სახედ სთვლის. ბ ი ე დ ა ს კი პირიქით ისინი დამოუკიდებელ სახეებად მიაჩნია. *N. gallensis*-თვის მისი აზრით დამახასიათებელია: ოდნავ დახრილი, ან თითქმის პერპენდიკულარული სწორი ტიხრები. კამერების ფორმა სწორკუთხედს უახლოვდება. შინაგან ხვეულებში კამერები იზომეტრიულია, გარეთა ხვეულებში განი სჭარბობს სიმაღლეს. მამადავითის ფორმა ტიპისაგან მცირედ განსხვავდება. ჩვენს ფორმებში შვეიცარიულთან შედარებით ნაკლებ დაკლაკნილი ხაზები ემჩნევა. ეს გარემოება ჩვენი აზრით ნიმუშების სიდიდის განსხვავებით აიხსნება. საერთოდ ცნობილია, რომ ნუმულიტებში ზრდასთან დაკავშირებით ხაზების დაკლაკნაც თანდათან მატულობს; თანაბარ სიდიდის ჩვენი და შვეიცარიულ ფორმები კი იდენტიურია.

კა და მოხრილიც. შინაგან ხვეულებში კამერები უფრო მაღალია, ვიდრე განიერი, გარეთა ხვეულებში კი უფრო განიერი, ვიდრე მაღალი. ზედა უკანა კუთხე ვიწრო და წაგრძელებულია.

მამადავითის ფორმა ყველაზე უფრო შვეიცარულ *N. gallensis*-Heim ემსგავსება. შვეიცარული ნიმუშის დიამეტრი 13 mm-დაც აღწევს, მაშინ როდესაც მამადავითის ფორმების სიდიდე 8,5 mm არ აღემატება, მაგრამ სისქესა და დიამეტრს შორის შეფარდება ორივე ფორმაში ერთი და ივივეა, შვეიცარულ ფორმებში ეს შეფარდება 1 : 2,3-სა და 1 : 2,9 შორის ქანობს დაახლოებით ისე, როგორც მამადავითის ფორმებში (1 : 2,3 და 1 : 2,8).

ნაჭუჭი ლინზისებურია; ზედაპირი რადიალური ხაზებით არის დაფარული. ხაზები ცენტრულ გამსხვილებულია. დიდი ფორმებისათვის განშტოებული და დაკლაკნილი ხაზებია აღსანიშნავი, ხორკლები ცენტრულ ნაწილშია თავმოყრილი და ჩვეულებრივ ხაზებზე მოთავსებული. ზოგჯერ ხორკლები ხაზის გვერდზე და იშვიათად ხაზებს შორისაც არის. დიდ ფორმებში ხორკლები მცირედაა წარმოდგენილი, მაგრამ საქმაოა ზედაპირის მცირე გადაშლითვა, რომ ხორკლები მრავალ გამოჩნდეს. მაშინ ხორკლებს სპირალური განლაგება გარკვეულად ემჩნევა. ხვეულებს თანდათანობითი ზრდა ახასიათებს. მათი რიცხვი 11-მდე აღის. 3—4 უკანასკნელი ხვეული ერთი სიმაღლისაა. სპირალის ფირფატის სისქე კამერების სიმაღლის ნახევარს უდრის. ტიხრები ორნავ მოხრილია. შეგასფერულ ფორმებში კი უფრო სწორი. კამერები დასაწყის ხვეულებში უფრო მაღალია, ვიდრე განიერი. შუა ხვეულებში სიმაღლე და განი კამერებისა თითქმის თანაბარია. გარეთა ხვეულებში განი სჭარბობს სიმაღლეს. მამადავითის ფორმა ტიპისაგან მცირედ განსხვავდება. ჩვენს ფორმებში შვეიცარიულთან შედარებით ნაკლებ დაკლაკნილი ხაზები ემჩნევა. ეს გარემოება ჩვენი აზრით ნიმუშების სიდიდის განსხვავებით აიხსნება. საერთოდ ცნობილია, რომ ნუმულიტებში ზრდასთან დაკავშირებით ხაზების დაკლაკნაც თანდათან მატულობს; თანაბარ სიდიდის ჩვენი და შვეიცარიულ ფორმები კი იდენტიურია.

მამადავითიდან აღწერილი *N. gallensis*-ი ძნელი გასარჩევი იქნებოდა მის გვერდით პოვნილ *N. atacicus* var. *striatiformis*-საგან, რომ მათ ერთობერისაგან ხორკლები არ ანსხვავებდეს.

ს ა დ ა უ რ თ ბ ა: მამადავითი, ოქროყანა, ასურეთის მიღამოები.

#### NUMMULITES SP. EX GR. LAEVIGATUS Brug.

ტაბ. I, სურ. 35 — 38 და ტაბ. II, სურ. 1 — 13 და 20.

1911. *Nummulites laevigatus*, Boussac, Études paléontologiques sur le Nummulite alpin. p. 58-66 (11).

*N. laevigatus*-ი ბ უ ს ა კ ი ს მიხედვით ორი უკიდურეს სხვადასხვა სახით

არის წარმოდგენილი. ერთისათვის ძლიერ ამობურცული ნაჭუჭია აღსა-ნიშნავი, ნაჭუჭის ზედაპირი ხშირი, მსხვილი ხორკლებით არის დაფა-რული. მეორე სახესხვაობა, პირიქით, პრტყელია და ზედაპირი ძლიერ დაქსელილია (réticulé) ხაზებით.

პირველი სახესხვაობისათვის სქელი სპირალური ფირფიტია დამა-ხასიათებელი და ტიხები განიერ კამერებს გამოჰყოფს. მეორე სახესხვაო-ბაში კი სპირალური ფირფიტი შედარებით თხელია, ტიხები მოხრილია და კამერები მაღალი.

*N. laevigatus* ს ტრანსვერსალური ტრაბეკულები აქვს განვითარე-ბული. ფორმებში ეს ტრაბეკულები ნაჭუჭის პერიფერიულ ნაწილში მო-იპოვება. *N. laevigatus*-ის დიამეტრი ჩვეულებრივ 16—17 mm უდრის..

ტფილისის ნიმუშების დიამეტრი 13—14 mm არ აღემატება. დიდი ფორმები ჩვეულებრივ ბრტყელია, სისქე მათი 3 mm-მდე აღწევს. ზე-დაპირი ძლიერ დაკლაკნილი ხაზებითა და წვრილი ხორკლებით არის და-ფარული. ზოგიერთ ნიმუშებს ეს ხორკლები გარკვეულად არც კი ემჩნევა, მაგრამ საქმარისი ნაჭუჭის ზედაპირის ოდნავად გაშლივთვა, რომ ხორ-კლები გამოჩნდეს. როგორც წინა სახეში, აქცე ხორკლები ცენტრულ-ნაწილში სპირალურად არის განლაგებული. გაუშლიფავ ზედაპირზე კი, ხორკლების განლაგებაში არავითარი წესი არა უნის. გარეგნულად ტფილი-სის ბრტყელი ნიმუშები ძლიერ მოვაგონებს ბუსაკის Bracklesham Bay-დან აღწერილ ფორმას (pl. II, fig. 16).

ამობურცული ნიმუშების დიამეტრი 8 mm-ს არ აღემატება. ხაზები რადიალური და ნაკლებად დაკლაკნილია. ხორკლები აქაც წვრილია. გა-რეგნობით ეს ნიმუში ძლიერ ჰგავს Saint Barthélemy-ის ფორმებს (იხ. ბუსაკი, pl. II, fig. 7). ამობურცულ ნაჭუჭების გაშლითულ ზედაპირზე მსხვილი, სპირალურად განლაგებული ხორკლები ემჩნევა. ხვეულები ხში-რია. სპირალური ფირფიტი — სქელი. ოდნავ მოხრილი ტიხები გამოჰ-ყოფს კამერებს უფრო მაღალს, ვიდრე გაინირს. ზოგიერთ ნიმუშების ზე-დაპირზე სუსტად განვითარებული ტრანსვერსალური ტრაბეკულები არის გამოსახული. მეგასფერული ფორმების დიამეტრი 3—4 mm არ აღემატება. ძლიერ ამობურცული ფორმები ხშირი რადიალური ხაზებით არის დაფა-რული. ზოგიერთ ნიმუშებზე ხაზები განშტოებულია. ფორმისათვის უმთავ-რესად ნაჭუჭის ცენტრულ ნაწილში ხშირი და მსხვილი ხორკლებია და-მახასიათებელი. ხორკლები ხაზებთან დაკავშირებულია. მიკროსფერებში ხორკლები უმეტეს შემთხვევაში ხაზების გახრის ან განშტოების ადგილას არის მოთავსებული.

ტფილისის მეგასფერული ფორმები, ცენტრულ ნაწილში, რადიალუ-რი ხაზების მოკლე გარდა-გარდმო ტოტებით არის დაკავშირებული. ეს ნიშანი სახისათვის ძლიერ დამახასიათებელია. თუ მხედველობაში შევი-ღებთ *N. laevigatus* დიდ ცვალებადობას, მაშინ აღწერილი ფორმების ამ სახეში მოთავსება არავითარ დავს არ გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ *N. laevigatus*-ი ან მისი მზგავსი ფორმები აღ-წერილი აქვს მეფერტს (35) დარალაგეზიდან (სომხეთი), ხოლო რენგარტენს დუშეთიდან. მეფერტის *N. laevigatus var. ind.* ძლიერ მოკლედ არის დახასიათებული. მასალის ცუდი დაცულობა, ავტორის სიტ-ყვით, ფორმის სრული დახასიათების საშუალებას არ იძლევა. გარეგნუ-ლად ტფილისის და დარალაგეზის ფორმები ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ხა-ზების დაქსელვა ორივეში ერთნაირია; მაგრამ ტიხების ფორმაში და გან-წყობაში საქმაოდ დიდი განსხვავებაა. ტფილისის ფორმებში სწორი, მხო-ლოდ მცირედ მოხრილი ტიხებია განვითარებული, დარალაგეზის ფორ-მისათვის კი, როგორც ეკვატორული განაკვეთიდან ჩანს, გალუნული და დახრილი ტიხებია ჩანს.

დუშეთიდან აღწერილია *N. cf. laevigatus* (42) ერთ არა სრულად შე-ნახულ ნიმუშის მიხედვით. ჩვენი ფორმების ამ სახესთან შედარებაზე ხელს ვიღებთ, რადგან ავტორის მიერ ის ძლიერ მოკლედ არის აღწერილი.

ს ა დ ა უ რ თ ბ ა: მამადავითი და სურეთის მიღამოები.

### CENUS DISCOCYCLINA GÜMB.

#### DISCOCYCLINA ARCHIACI Schlum.

ტაბ. II, სურ. 14—15.

1903. *Orthophragmina Archiaci*, Schlumberger, Troisième note sur les Orbitoides, p. 277, pl. VIII, fig. 5-7 et 11 (40).

1922. " " Douvillé. Révisions des Orbitoides, p. 65 et 85. (16).

ტფილისის ღერამოებში ამ სახის ტიპიური ფორმაა წარმოდგენი-ლი. ღოუბნის ნიმუშების დიამეტრი 13 mm არ აღემატება. შედარებით უფრო დიდია კობის მონასტრის მიღამოებიდან აღებული ნიმუშები. დიდი ნაჭუჭები ლინზისებურია. პატარა კი ბრტყელი. ზოგიერთ ნიმუშებზე ცენტრულ ნაწილში ღილაკებური გამსხვილება ემჩნევა. ხორკლები ამ გამსხვილებაზე უფრო დიდებია, ვიდრე ნაჭუჭის დანარჩენ ნაწილებზე. ასეთი შემთხვევა ღილაკებურაშიც არის აღნიშნული. საერთოდ კი რო-გორც ტიპი, ისე ჩვენს ფორმებშიაც თანაბარი ხორკლებია დამახასიათე-ბელი, რომელიც ნაჭუჭის ზედაპირზე თანაბრადაა განაწილებული. ხორ-კლებს ირგვლივ გვერდითი კამერები აკრავს, რიცხვით 6—8-მდე. კამე-რების სიღიღე და ხორკლების დიამეტრი დაახლოებით თანაბარია. ამ სა-ხის უფრო პატარა ფორმები აღწერილი აქვს რენგარტენს დუშეთ-ანანურისა და მაცესტის ერცენიდან (42).

ს ა დ ა უ რ თ ბ ა: ძველი ღოუბნი და კობის მონასტრის მიღამოები.

## NUMMULITES Sp.

ამ სახის დიამეტრი 3 mm არ აღემატება და განი კი 0,7 mm უდის. ნაჭუჭი სამი ხვეულისაგან შედგება. უკანასკნელი ხვეული ბევრად დიდია და მაზედ გარკვეულად ემჩნევა ტიხები, რომლებიც დიდ მანძილზე სწორია და მხოლოდ ზედა პირთა მიახლოებისას იხრება ხორქლები ცენტროან ტიხის ხაზებზე განლაგებული. ვერცერთ აღწერილ სახეს ვერ მივამზგავსეთ. აღწერის შემდეგ ნიმუში დამეკარგა.

ს ა დ ა უ რ თ ბ ა: ქველი ღოუბანი.

## VERTEBRATA.

### PISCES

ტფილისის მიღამოების პალეოგენი, როგორც სტრატიგრაფიული ნაწილიდან ვიცით, მდიდარია თევზებით, განსაკუთრებით კი მათი ქერცლით. აյ ჩვეულებრივ ორი სახის ქერცლია აღსანიშნავი; ერთი მხოლოდ ტუფოგენ წყებასთან არის დაკავშირებული, მეორე კი — თითქმის მხოლოდ თაბაშირიან წყებაში გვხვდება.

ტუფოგენ წყების ქერცლები პატარაა. ქერცლის სიგრძე 2 mm-მდე აღწევს, სიმაღლე — 2,5 mm-სა არ აღემატება, ზედაპირი კონცენტრული ხაზებითაა დაფარული. ამ ტიპის ქერცლი უკანა ნაწილში დაკბილულია. კბილები ცენტრამდე არ უწევს. თევზის გვარი გაურკვეველი დარჩა. ტაბ. II, სურ. 19.

თაბაშირიან წყებაში მრავლად მოიპოვება თევზის დიდი ქერცლები. ქერცლის სიგრძე 2,5 — 5,5 mm-სა და სიმაღლე 3,5 — 7,5 m შორის ქანაობს. ზედაპირი კონცენტრული ხაზებით არის დაფარული. ხაზების გამოსავალი წერტილი ქერცლის უკანა ნაწილში მდებარეობს. ზედაპირზე ქერცლს ოთხი წყიოლი წიბო აქვს განვითარებული. წიბოები გაღუნულია. მოხრილი მხარე წინ არის მიშვერილი. ქერცლი Clupea-ს ეკუთვნის (7). გარდა ამისა ტფილისის ნალექებში თევზის სხვაგვარი ქერცლებიც მოიპოვება. ჩვენ აյ უფრო გავრცელებული ქერცლები აღვნიშვნთ. Clupea-ს ქერცლები კუმისის ტბის მიღამოებიდან არის აღწერილი. ტაბ. II, სურ. 16 — 18.

\* შენიშვნა: გარდა აღწერილი ნამარხებისა ტფილისის ნალექებში სხვა ფაუნაც მოიპოვება: მაგ., ორსაგდულიანები და გასტროპოდები; მაგრამ სამწუხაროდ ესენი ცუდად არიან დაცული რის გამო, ახალ უფრო კარგად შენახულ მასალების დაგროვებამდე, მათ აღწერაზე ხელს ვიღებთ.

## PALÄOGEN DER UMGEBUNG VON TIFLIS.

### Zusammenfassung.

In der vorliegender Arbeit untersuchte der Autor die Stratigraphie der Tifliser Umgebung. Bis heute ist diese Frage nicht endgültig gelöst, weil nebst anderen Ursachen vor allen Dingen nur eine unbedeutende Anzahl der Versteinerungen aus den Ablagerungen der Tifliser Umgegend bekannt war. Man wies (2, 3, 29, 44) auf Nummuliten, einige Mollusken (44) und Fische (29) hin, aber ihre Bestimmung beschränkte sich im besten Falle, abgesehen von einigen Ausnahmen (44, 29), auf Gattungen.

Von 1932 bis 1933 sammelte der Autor in verschiedenen Horizonten der Paläogenschichten von Tiflis eine Anzahl von Versteinerungen, auf Grund deren die Einteilung der Schichten sowie ihre Altersbestimmung im wesentlichen möglich wurde.

Die untersuchte Region umfasst mehr als 100 km<sup>2</sup>. Nördlich wird dieselbe durch die Niederung der Kukia—und Awlabarisee, östlich und westlich aber durch den Meridian von Soghanlughi und Kodschori begrenzt; südlich erstreckt sich die Grenze bis zum Jaghludschaberg. In der beschriebenen Region ist hauptsächlich das untere Tertiär entwickelt, an welches sich vom Norden und Süden das paläontologisch bestimmte Miocän anschliesst.

Alle angegebenen Schichten sind gefaltet. Die Falten sind von O nach W gerichtet. Hier sind von Norden nach Süden folgende Falten zu zählen: Antiklinalen von Lissisee, Seidabadi und Thelethi, Sinklinalen von Saburthalo und Krzanissi. Nebst denen sind noch zwei Falten hervorzuheben, von welchen eine bei dem Dorfe Kumissi, die andere nördlich vom Dorfe Assurethi ihren Anfang nimmt. Die Axen der genannten Falten fallen nach O zu. In der untersuchten Gegend hat man wohl eine komplizierte Tektonik zu verzeichnen (Isoklinalfalten am linken Ufer der Kura), jedoch verhindert dieser Umstand nicht, normale Profile der Schichtenreihe zu geben, weil auf der grösseren Fläche der untersuchten Gegend eine normale Schichtenlagerung zu beobachten ist.

Wie aus der beigelegten geologischen Karte auch ersichtlich, sind die tertiären Ablagerungen oft mit postpliocänen Ablagerun-

gen (Alluvion und Deluvion) bedeckt, jedoch wurde es möglich, mit Rücksicht auf Profile von anderen Stellen, eine normale Schichtenfolge zu rekonstruiren.

Das untere Tertiär der Tifliser Umgegend ist vorzüglich durch Tone und Sandsteine vertreten. In dem unteren Teile der Ablagerungen ist jedoch vulkanogenes Material in ziemlich grosser Menge beigemischt, infolgedessen dieser Teil des Paläogens unter dem Namen des Tuffogenenkomplexes bekannt ist; in dem oberen Teile ist Gips reichlich vertreten und aus diesem Grunde wird er als gipsführender Schichtenkomplex bezeichnet.

Gypsführende Schichtenkomplexe. Diese Schichtenkomplexe können in drei Teile gegliedert werden. Der obere Teil wird durch die Tonen des Maikotypus vertreten. Der untere kann als Nummulitenhorizont verzeichnet werden; der mittlere stellt einigermasse eine Übergangsfolge dar, obwohl sie, wie es aus weiterem zu ersehen ist, einer Eigenartigkeit nicht entbehrt, und darum kann sie <sup>als</sup> selbstständigeu Horizont gekennzeichnet werden.

Oligocän. Die Tonen maikopschen Typus kommen in der beschriebenen Gegend an zwei Stellen in der Schlucht von Chewdzmari, sowie am westlichen Abhange des Jaghludschaberges vor. An beiden Stellen besteht die Schichtenreihe aus weichen, dunkel-grauen Schiefertonen. Der Ton enthält Gyps, verwittert leicht an der Luft und veranlasst Rutschungen (Jagludscha). In der Schichtenfolge finden sich verhältnismässig selten auch lockere Sandsteine (Chevdzmari). In der Schlucht Chewdzmari sind die Töne mehr sandhaltig. Die Schichtenfolge ist reich an Gyps. Es tritt auch Jarosit auf; in den Tonen sind Septarien zu beobachten. Was die Versteinerungen anbetrifft, findet man Schuppen von Clupea und unbestimmbare Pflanzenreste; die Schichten zeichnen sich also durch den Habitus der typischen Maikopfazies aus.

